



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის დასახელება სწავლის სფეროების
კლასიფიკატორის მიხედვით:

მოდის, ინტერიერის და სამრეწველო დიზაინის კლასტერი:

მოდის დიზაინი (ბაკალავრიატი)

მოდის დიზაინი (მაგისტრატურა)

ტექსტილის დიზაინი (ბაკალავრიატი)

ტექსტილის დიზაინი (მაგისტრატურა)

სამრეწველო დიზაინი (ბაკალავრიატი)

სამრეწველო დიზაინი (მაგისტრატურა)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ –თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი

28-29 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

20.12.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	15
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	15
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	39
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	55
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	63
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	88

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ – აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარია შტრანეკოვა, MODSpe პარიზი, ცენტრალური ევროპა, საფრანგეთი და ტომას ბატას უნივერსიტეტი, ჩეხეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლელა კიკნაველიძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ ჩიმაკაძე, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ალექსანდრე კალანდაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მოდის დიზაინი	ტექსტილის დიზაინი	სამრეწველო დიზაინი	მოდის დიზაინი	ტექსტილის დიზაინი	სამრეწველო დიზაინი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ხელოვნების ბაკალავრი მოდის დიზაინში	ხელოვნების ბაკალავრი ტექსტილის დიზაინში	ხელოვნების ბაკალავრი სამრეწველო დიზაინში	ხელოვნების მაგისტრი მოდის დიზაინში	ხელოვნების მაგისტრი ტექსტილის დიზაინში	ხელოვნების მაგისტრი სამრეწველო დიზაინში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნების ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹						
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	240	120	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობითად აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 10.21.2011 N 152	აკრედიტებული 10.21.2011 N 151	აკრედიტებული 10.21.2011 N 156	აკრედიტებული 08.09.2012 N 322	აკრედიტებული 8.09.2012 N 320	აკრედიტებული 08.09.2012 N 330

¹ (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ²**

თვითშეფასების ანგარიშში, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების დეტალურმა მიმოხილვამ და ადგილზე ვიზიტმა აჩვენა, რომ კლასტერს აქვს ძალიან ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ისტორია, რომელიც თითქმის 60 წელს ითვლის და მუდმივად ვითარდება გლობალური ცვლილებების, საზოგადოების და შრომის ბაზრის ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით. კლასტერს აქვს ძლიერი ფესვები ხელოვნებაში, რომელსაც აქვს ოფიციალური უფლებამოსილება მთავრობის მიერ, დაჯგუფებულია ფართო სფეროებში, როგორც 02 ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები, 021 ხელოვნება და კლასტერი I | როგორც ვიწრო სფეროები { - "0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინის". დეტალური სფეროს სახელი და კოდი განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია 2013 მიხედვით არის/ 212.1.2 სამრეწველო დიზაინი, 212.1.3 მოდა და 212.14 ტექსტილის დიზაინი. საგანმანათლებლო პროგრამების ბოლო აკრედიტაციები განხორციელდა 2005, 2012, 2018 წლებში. ECTS კრედიტის რაოდენობა სტანდარტულია, ბაკალავრის ხარისხისთვის არის 240, მაგისტრისთვის 120.

კლასტერი, რომელიც საქართველოს სამხატვრო აკადემიის ნაწილია, ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს მხატვრული, კულტურული ფასეულობების განვითარებაში, მაგრამ ასევე აქვს უზარმაზარი პოტენციალი ხელი შეუწყოს შემოქმედებითი ინდუსტრიის სექტორის განვითარებას ადგილობრივ ბაზარზე. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები (BA, MA) ადასტურებს ახალი მეთოდების ჩართვას და ასევე ბიზნეს დისციპლინებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლების ფაქტს. მათ შორისაა მარკეტინგი, პროდუქციის განვითარება, წარმოება, მეწარმეობის საფუძვლები, ციფრული პროგრამები, რეკლამა და სხვა შესაბამისი საგნები. ეს განპირობებულია იმით, რომ დიზაინი გახდა ახალი კულტურული და მსოფლმხედველობრივი ცვლილებების ცენტრალური ნაწილი, რაც მას ბიზნეს სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და სწრაფად განვითარებად პროფესიად აქცევს.

მოდის დიზაინის, სამრეწველო დიზაინისა და ტექსტილის დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამების სხვა ძირითადი საერთო მახასიათებლები არის აქტუალური, ძალიან ლოგიკური და გამჭვირვალე, რაც სტუდენტებს სთავაზობს ადგილობრივ და გლობალურ ბაზარზე ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობას სწავლების პროცესში ოპტიმალური შედეგების მიღებით, რაც მოითხოვს თეორიული და პრაქტიკული ელემენტების სინერგიულ შერწყმას, აგრეთვე კვლევისა და შემოქმედებითი ასპექტების ბალანსს. პროგრამები მიზნად ისახავს მაღალკონკურენტუნარიანი დიზაინერების მომზადებას, რომლებიც აკმაყოფილებენ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. ისეთი მიზნების ხაზგასმა, როგორცაა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციები, სამომხმარებლო პროდუქტების კონცეპტუალიზაციისა და შექმნის უნარები და მრავალფეროვანი უნარების განვითარება, რომელიც აერთიანებს ტრადიციულ ტექნიკას თანამედროვე ტექნოლოგიებთან, არის ძალიან მყარი საფუძველი, გამდიდრებულია დამატებითი უნარებით, რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს ეფექტურად გააერთიანონ ტექნიკური და ტექნოლოგიური ასპექტები და ბიზნესის მართვის გადაწყვეტილებების მიღების უნარები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი აკადემიას სტუმრობდა 2023 წლის 28- 29 სექტემბერს, გაეცნო მის კომპონენტებს, დამხმარე დეპარტამენტებსა და განყოფილებებს. ვიზიტი განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით. ადგილზე ვიზიტის მიზანი იყო აკადემიის

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მიერ თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, შესაფასებელი პროგრამების წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით და სხვა საკითხების შესწავლა, რომლებიც შესაძლოა არასაკმარისად იყო წარმოდგენილი დოკუმენტაციაში. ამ მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი 15-ზე მეტ სესიაზე შეხვდა აკადემიის ხელმძღვანელობას, თვითშეფასების ჯგუფს, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, შესაფასებელი პროგრამების ხელმძღვანელებს, აკადემიურ და დამხმარე პერსონალს, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს, ორივე შესაფასებელი პროგრამის კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა აკადემიური, სასწავლო და მომსახურების სხვა სივრცეები (საკონფერენციო დარბაზები, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, მუზეუმები, სახელოსნოები...). ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სამიზნე აუდიტორიას, მოითხოვა განმარტებები და დაკვირვება განახორციელა აკადემიაში ცხოვრებასა და სწავლის პირობებზე. ვიზიტის დასასრულს თავმჯდომარემ აკადემიის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი წინასწარი დასკვნები. აკადემიამ და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ორგანიზება გაუკეთეს ადგილზე ვიზიტს შესანიშნავ პირობებში, ექსპერტთა ჯგუფის ყველა საჭიროება და კითხვა სრულად დაკმაყოფილდა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

მოდის დიზაინი (ბაკალავრიატი):

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ტექსტილის დიზაინი (ბაკალავრიატი):

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სამრეწველო დიზაინი (ბაკალავრიატი):

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მოდის დიზაინი (მაგისტრატურა):

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ტექსტილის დიზაინი (მაგისტრატურა):

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სამრეწველო დიზაინი (მაგისტრატურა):

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

კლასტერის:

- ექვსივე პროგრამისთვის დაიწეროს სამიზნე ქულები თითოეული შედეგისთვის;
- დაემატოს 0 შეფასების ქულა, თუ არ არის შეფასების კომპონენტი;
- რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხელმძღვანელებისა და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების რაოდენობის დასადგენად, შესაბამისი თანაფარდობის უზრუნველყოფის მიზნით ან ჩართოს აღნიშნული მეთოდოლოგია უკვე

არსებულ დოკუმენტში „სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები“.

- რეკომენდებულია, თსსა-მ შეიმუშაოს ცალკე დოკუმენტი, რომელიც გააერთიანებს სტუდენტებისა და სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელების ყველა ვალდებულებას (უფლებებსა და მოვალეობებს), ან ჩართავს ასეთ ნორმებს უკვე არსებულ დოკუმენტებში (მაგალითად, თსსა დოქტორანტურის მარეგულირებელ დოკუმენტში, როგორცაა სამაგისტრო პროგრამის დებულება).
- რეკომენდებულია, პროგრამის პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ეტაპზე.

პროგრამა 3 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)

- რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და აკადემიური სტილის სტანდარტები.

პროგრამა 4 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)

- რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და აკადემიური სტილის სტანდარტები.
- კვალიფიციურმა ხელმძღვანელმა უნდა შეიმუშაოს ნაშრომის საბოლოო სახით წარდგენისთვის აუცილებელი ახალი სტანდარტები, ტექსტილის სფეროში თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით.

პროგრამა 5 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)

- რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და აკადემიური სტილის სტანდარტები.

პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)

- რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და აკადემიური სტილის სტანდარტები.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

კლასტერის:

- სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, 1-3 ქულა და 4-6 ქულა, სასურველია შეიცვალოს შემდეგნაირად - 1-2 ქულა, 3-4 ქულა და 5-6 ქულა. უფრო ვალიდური რეიტინგისთვის ამ შემთხვევაში სასურველია გკონდეთ ერთი ბიჯი;
- სასურველია, საგანმანათლებლო პროცესში ისეთი დისციპლინების ჩართვა, რომლებიც ითვალისწინებს წარმოების სპეციფიკას, დიზაინის პროდუქციის ფუნქციონალური თვისებების თვალსაზრისით, რაც, გარდა სფეროს პრაქტიკული უნარების განვითარებისა, ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას, ინტერდისციპლინურ მიდგომებს, მაშინ როცა დიზაინის მიმართულებით უცხოურ სკოლებში სწავლების პრაქტიკა ასევე ორიენტირებულია თეორია/პრაქტიკაზე, ინტერდისციპლინურ კომპლექსურ მიდგომებზე, შემოქმედებითი აზროვნების, ექსპერიმენტული აქტივობების და ა.შ., გათვალისწინებით.
- კლასტერში დაჯგუფებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში სასურველია გაიზარდოს პრაქტიკული, კომპლექსური და ინტერდისციპლინური სასწავლო კურსების საკონტაქტო საათები სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- სასურველია სასწავლო პროცესს აქტიურად დაემატოს პრაქტიკული დისციპლინები კონსტრუქციული და თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომებით დიზაინში (არჩევითი დისციპლინების სახით), რაც დაეხმარება სტუდენტებს მრავალმხრივი საბაზისო ცოდნის შეძენაში, ინტელექტუალური და კულტურული თეზაურუსის ჩამოყალიბებაში;
- სასურველია პორტფელიოს დიზაინს დაემატოს CV ფუნქცია (პროექტებში, კონკურსებში, გამოფენებში მონაწილეობა);
- გაძლიერდეს კრეატიული ლიდერის პოზიცია სახელმწიფო ან კერძო სექტორის მხარდაჭერით უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი შემოქმედებითი ცენტრის ან ლაბორატორიის/ჰაბის/სივრცის შექმნის მეშვეობით.
- სასურველია, რომ კლასტერის პროგრამების სტუდენტების შედეგები (ნამუშევრები) ასახავდეს დიზაინის მრავალფეროვან თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც ავითარებენ არა მხოლოდ შემოქმედებით აზროვნებას, არამედ პრობლემის გადაჭრის ძიების გზებსაც;
- სასურველია თსსა-მ დაიწყოს ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრების და ხელოვნური ინტელექტის პლაგიატის აღმოჩენის სისტემების ძიება, რათა უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერება და საავტორო უფლებების დაცვა ყველა პროგრამაზე.
- სასურველია სტუდენტთა საჩივრებზე (აპელაციაზე) მოხდეს დროული რეაგირება, უმჯობესი იქნება ფაკულტეტის საბჭოსგან საჩივრის განხილვის უფლება გადაეცეს სხვა აკადემიურ ან ადმინისტრაციულ ერთეულს ან, მაგალითად, შეიქმნას მცირე საბჭო, რომელიც განიხილავს სტუდენტთა აპელაციებს;
- სასურველია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტები უფრო მეტად ჩაერთონ თანამედროვე ინოვაციურ საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში.
- ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 50/50, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- სასურველია, უმაღლესმა სასწავლებელმა უზრუნველყოს პერსონალის გადამზადება უცხო ენაში (ინგლისური), რაც გაზრდის პედაგოგთა ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებაში;
- სასურველია, პროფესიული განვითარების მიზნით, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი გააქტიურდეს სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით. (მონოგრაფია, რეფერირებულ ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და ა.შ.);

- სასურველია, უნივერსიტეტმა გაამლიეროს სამეცნიერო და/ან მოწვეული პერსონალის მატერიალურ-ფინანსური მხარდაჭერა სამეცნიერო/კვლევითი/შემსრულებლო-შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მხარდასაჭერად.
- სასურველია, გაიზარდოს პროგრამების ბიუჯეტი ან ცენტრალური ბიუჯეტიდან ან დარგის სფეროს პარტნიორებიდან, რომელიც გათვალისწინებული იქნება საკურსო პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომების მასალებისთვის.
- სასურველია, მეტი ფინანსური მხარდაჭერის გამოყოფა პროგრამების პერსონალის კვლევისა და პროფესიული განვითარების საქმიანობისთვის;
- სასურველია, უფრო ფართო მასშტაბით წახალისდეს და პრიორიტეტი მიენიჭოს ხარისხის კულტურას ყველა ერთეულსა და ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, რათა უზრუნველყოფილ იქნას აკადემიის ფარგლებში არსებული ხარისხის ინსტრუმენტების ეფექტურობა.

პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)

- უნდა მოგვარდეს საკითხი, რომელიც უკავშირდება პროფესორის თანამდებობის არარსებობას და ასევე, დოქტორის სტატუსის მქონე ხელმძღვანელების არარსებობას.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³**
 - **ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების შესახებ**

წინამდებარე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს სურს დამატებით განმარტოს თუ რა ფაქტორებმა წინამდებარემა განაპირობა ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციის კლასტერის საერთო რეკომენდაციებში მოხვედრა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციის ფორმულირებამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მოდის დიზაინის სამაგისტრო პროგრამაზე მოქმედ „მოდის დიზაინის სამაგისტრო ნაშრომის საკვალიფიკაციო დახასიათება და ნაშრომის დაცვის წესის“ დოკუმენტს, კუმულაციურად გამოყენებული იქნა აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან დადებული ჩარჩო ხელშეკრულების ფორმები, სამაგისტრო პროგრამის დებულება და ინტერვიუს შედეგები. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის 3.2. ქვესტანდარტის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს მაგისტრანტის ხელმძღვანელის და არსებობის შემთხვევაში - თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის არსებობა, რომელიც, თავის მხრივ, შინაარსობრივად წარმოადგენს მაგისტრანტის უფლებრივი მდგომარეობის გაამლიერების ერთ-ერთ საშუალებას. ერთი მხრივ, მაგისტრანტი აღჭურვილია მექანიზმით - აირჩიოს და საჭიროების შემთხვევაში მიმართოს შესაბამის პირს ხელმძღვანელის შეცვლასთან დაკავშირებით, თუკი სახეზე იქნება ხელმძღვანელის ვალდებულებების უხეში დარღვევა, ხოლო მეორე მხრივ - ვალდებულებების გაწერის შემთხვევაში მაგისტრანტს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა უზრუნველდება, რაც გულისხმობს ცხადად და ნათლად ხელმძღვანელის იმ მოვალეობების

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

შეუსრულებლობაზე აპელირებას, რომელიც დეკლარირებული ექნება დაწესებულაბას. შედეგად, მაგისტრანტის მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრა აჩენს დაცულობის მეტ განცდას, ახდენს ხელმძღვანელობის პროცესის ქმედითობას და პრობლემების არსებობის შემთხვევაში - მყისიერი რეაგირების განხორციელების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ „მოდის დიზაინის სამაგისტრო ნაშრომის საკვალიფიკაციო დახასიათება და ნაშრომის დაცვის წესი“ (დანართი 16) არსებითად განსაზღვრავს სტუდენტის მოვალეობებს და წაყენებულ მოთხოვნებს თვით სამაგისტრო ნაშრომთან მიმართებაში, ხოლო მაგისტრანტის უფლებრივ ჭრილში - მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევის შესაძლებლობას. წესის დანარჩენი ნაწილი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შერჩევის, წარდგენის და დაცვის პროცედურულ ნაწილებს, შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელის შეცვლის შესაძლებლობას დოკუმენტი არ განიხილავს და მოიცავს მხოლოდ ხელმძღვანელის დანიშვნის წესს.

აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან დადებულ ხელშეკრულების ფორმებში ვხვდებით აბსტრაქტულ ვალდებულებას, რომ „დასაქმებული ვალდებულია..... უხელმძღვანელოს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით ან/და სახელოვნებო/შემოქმედებით მუშაობას.“. უსდ-ს მაგისტრატურის დებულების პირველი მუხლის 1.7. ქვეპუნქტი აკეთებს მითითებას იმ დანართებზე, სადაც შეიძლება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დანიშვნის წესი და ვალდებულებები ვიხილოთ. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის შესწავლისას, უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ იქნა ნაპოვნი მკაფიოდ განსაზღვრული ხელმძღვანელის ვალდებულებები, მათ შორის არგუმენტირებულ პასუხში მოხსენიებულ დოკუმენტში (დანართი 16 „მოდის დიზაინის სამაგისტრო ნაშრომის საკვალიფიკაციო დახასიათება და ნაშრომის დაცვის წესი“, რომელიც ვიზიტამდე წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც ფიგურირებდა). გარდა ამისა, ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან აღინიშნა, რომ დამატებით ხელშეკრულების დადება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან არ ხორციელდება. შესაბამისად, ვალდებულებების ამსახველი დოკუმენტები შეგვიძლია ზემოხსენებული ყველა დოკუმენტი მივიჩნიოთ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ ექსპერტთა ჯგუფს გვაჩვენა, რომ დაწესებულება ყოველთვის გამოთქვამს მზადყოფნას შეუფერხებლად განხორციელდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის ყველა პროცედურა. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით პერიოდულად ფასდება მაგისტრანტის ხელმძღვანელობის ხარისხიც, რაც ასახულია შესაბამის ანგარიშებში. თუმცა, 3.2. ქვესტანდარტის სრული შესაბამისობისთვის და სტუდენტთა საუკეთესო ინტერესებზე აპელირებით, აუცილებელია სტუდენტებს ჰქონდეთ აღსრულებადი დანიშნული დოკუმენტი, რაც ასევე მისცემს დაწესებულებას შესაძლებლობას, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში, საფუძვლიანი მოთხოვნები წაუყენოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, ნაშრომის შესრულებისა და დაცვის ყველა ეტაპზე.

ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას გაიზიაროს უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია და ძალაში დატოვოს გაცემული რეკომენდაცია სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ ყველა პროგრამასთან მიმართებაში.

5.1 ნაწილის რეკომენდაციაზე, რომელიც ეხება დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, ექსპერტთა ჯგუფს სურს განმარტოს, რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპებზე დადასტურდა. თუმცა, რეკომენდაციაში ხაზგასმული ძირითადი საზრუნავი ეხება მათ ჩართულობას პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში,

შეფასების/მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების შედეგების ანალიზში. სწორედ ეს განსხვავებაა, რატომაც ექსპერტთა ჯგუფი ვერ იზიარებს არგუმენტირებულ პოზიციას ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

1.ექსპერტების რეკომენდაციის საპასუხოდ რომელშიც წერია,რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ ემთხვევა პროგრამის სწავლის შედეგების რუკას, რაც გაურკვეველს ხდის სწავლის შედეგების მიღწევის განსაზღვრას,-უსდ-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს,რომ გაცემული რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული.-ექსპერტთა ჯგუფისთვის პასუხი მისაღებია,უსდ-ს აქვს სრული მზაობა სამომავლოდ სრულად გაითვალისწინოს კონკრეტული რეკომენდაცია.

2..”0“-ქულის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს სურს დამატებით განმარტოს თუ რას ვგულისხმობთ რეკომენდაციაში სადაც ავღნიშნავთ-(თითოეული შეფასებისთვის განსაზღვრულია მინიმალური ზღვარი,თუმცა ნული ქულის არ არსებობა არ იძლევა შეფასების სრულ სურათს,სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასების კომპონენტის არ შესრულების შემთხვევაშიც კი სტუდენტი ფასდება ქულა 1(ერთით.) -უსდ-ს მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში შეფასებები იწყება 1 ქულიდან. რეკომენდებულია შეფასებას დაემატოს 0 ქულა და განიმარტოს რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი 0 ქულას.

ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს რეკომენდაციებს.

3.,რეკომენდაცია - ექვსივე პროგრამისთვის დაიწეროს სამიზნე ნიშნულები

თითოეული შედეგისთვის” - უსდ-ს წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს რეკომენდაცია და არგუმენტირებულ პასუხთან ერთად გადმოაგზავნეს ექვსივე პროგრამისთვის შედგენილი სამიზნე ნიშნულები თითოეული შედეგისთვის, თუმცა აკრედიტაციის დებულების 27 /2 მუხლის მე -11 პუნქტის მიხედვით: "ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება აკრედიტაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ". შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს რეკომენდაციას.

4.ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევის - „სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, 1-3 ქულა და 4-6 ქულა, სასურველია შეიცვალოს შემდეგნაირად - 1-2 ქულა, 3-4 ქულა და 5-6 ქულა. უფრო ვალიდური რეიტინგისთვის ამ შემთხვევაში სასურველია გქონდეთ ერთი ბიჯი.“-საპასუხოდ უსდ-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების კრიტერიუმებში სამქულიანი ბიჯის არსებობა კარგად აპრობირებული პრაქტიკაა. ამგვარი შეფასება შესაძლებლობას გვაძლევს ნამუშევარი შეფასდეს მოქნილად, რამდენიმე ნიშნის გათვალისწინებით. ამგვარი ბიჯის არსებობა განსაკუთრებით სახელოვნებო/შემოქმედებითი სასწავლო კურსების შეფასებების დროსაა ოპტიმალური, რადგან ნაშრომი ფასდება ერთდროულად რამდენიმე კრიტერიუმით:ინდივიდუალური შემოქმედებითი გადაწყვეტა, ტექნიკურ/ტექნოლოგიური, მხატვრული ასპექტები. ამდენად, შეფასების კრიტერიუმების სამქულიანი ბიჯი ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს, ხოლო ერთქულიანი ბიჯის შემთხვევაში ზედმეტად დანაწევრებული ხდება შეფასების კრიტერიუმები და მათი მთლიანობაში შეფასების შესაძლებლობა იზღუდება.-ექსპერტთა ჯგუფისთვის.პასუხი გასაგებია და მისაღებია.

პროგრამის განვითარებისთვის კლასტერში: ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ კომპონენტი სასწავლო დისციპლინების ჩართვასთან დაკავშირებით, უნდა დარჩეს რჩევის სხით, რომელიც ითვალისწინებს წარმოების სპეციფიკას. ვინაიდან, პრაქტიკაში, პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია და ითვალისწინებს მაღალ-მხატვრული იდეებისა და კონცეპტუალური

გდაწყვეტილებების შემოქმედებითი პროცესების სწავლების მეთოდებს, რაც მისასაღმებელია, თუმცა ამ ნაწილთან ერთად სასურველია კიდევ მეტი დრო დაეთმოს დიზაინში წარმოების სპეციფიკას, ფუნქციონალური იდეების ძიებისა და კვლევითი უნარების განვითარებას. აქტიურად დაემატოს პრაქტიკული დისციპლინები კონსტრუქციული და თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომებით დიზაინში (არჩევითი დისციპლინების სახით), რაც დაეხმარება სტუდენტებს მრავალმხრივი საბაზისო ცოდნის შეძენაში. გადაიხედოს პორტფოლიოს სტრუქტურა და დაემატოს CV ფუნქცია (პროექტებში, კონკურსებში, გამოფენებში მონაწილეობა). შეიქმნას დამოუკიდებელი უცხოენოვანი საგანმანათლებლო შემოქმედებითი პროგრამები (არჩევითი დისციპლინების შინაარსის გაცნობა) მუდმივი კონტაქტები საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ,სასურველია, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებში მეტი დრო დაეთმოს სამეცნიერო შემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურებას, რომ ქართულ ტრადიციულ კულტურულ კვლევებზე დაფუძნებული ნამუშევრები ფართო მასებისთვის გახდეს ცნობილი და ასევე გამოყენებული იქნეს მათი მაღალი შემოქმედებითი პოტენციალი და გაძლიერდეს სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა კონფერენციებსა და რეფერირებად ჟურნალებში. ექსპერტთა ჯგუფს ესმის და გაცნობიერებული აქვს ამ სფეროს მრავალფეროვნება და სირთულე, ახალი ციფრული ტექნოლოგიები მუდმივად განახლებადია და ვითარდება მოდის ინდუსტრიის მიმართულებით და რა თქმა უნდა სასურველია განვითარება ამ მიმართულებით.

- ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მიღწევების ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასების მიდგომები აკრედიტაციის ექსპერტებისთვის:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტის კომპონენტი:	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამი შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 აკადემიური კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის სწავლის შედეგები რეგულარულად ფასდება პროგრამის გასაუმჯობესების მიზნით. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან სასწავლო სფეროების შესაბამისად და ვითარდება უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურების მიხედვით.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კომპლექსს, რომელსაც პროგრამა მიზნად ისახავს რომ განავითაროს სტუდენტებში. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად კლასტერში თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის განსაზღვრული კომპონენტის მოთხოვნებთან საფუძვლიანად არის დაწერილი, გაანალიზებული და შეფასებული. *უსდ-ს მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიასთან თავსებადობა.* ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია ვებგვერდის საშუალებით. არსებობს პოტენციური საჭიროება, რომ გქონდეთ ახალი ვებგვერდი ან სოციალური მედიის პლატფორმა კლასტერისთვის.

შეფასება მოიცავს დეტალურ აღწერას, ანალიზს და შეფასებას, თუ როგორ შეესაბამება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა სტანდარტების მითითებულ კომპონენტს. ძირითადი მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული თვითშეფასების ანგარიშში, რაც დადასტურდა მტკიცებულებებით/ ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტის შედეგებიდან და საბოლოო ნამუშევრებიდან, რომელთა უმეტესობაში ჩანს მაღალი შემოქმედებით და დიზაინერული უნარები.

კლასტერის სასწავლო პროგრამების საერთო მიზნები კარგად არის ჩამოყალიბებული და შემუშავებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დონის მიხედვით. ბაკალავრიატი სტუდენტებს სთავაზობს ფუნდამენტურ ცოდნას სხვადასხვა სფეროში. კლასტერში დაჯგუფებულ სამაგისტრო პროგრამებს ასევე აქვთ საერთო მიზნები / მიმართულია სპეციალისტ დიზაინერების მომზადებაზე, რომლებსაც აქვთ მაღალგანვითარებული კვლევის უნარები. სამაგისტრო პროგრამები ფოკუსირებულია დიზაინერულ აქტივობებზე, რომელიც აერთიანებს ექსპერიმენტულ კვლევას, ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკის გამოყენებას, თეორიულ და მხატვრულ დისციპლინებს და ციფრულ ტექნოლოგიებს, რომლებიც შეესაბამება ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე ტენდენციებსა და საჭიროებებს.

კლასტერი იძლევა პოტენციური თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობებს სხვა პროგრამების ფარგლებში, რომლებიც უკვე ინდივიდუალურად მუშაობენ სხვა ფაკულტეტებზე. მოდა და ტექსტილი გადამწყვეტია დარგის განვითარებისთვის, მაგრამ უნდა იყოს მეტი თანამშრომლობა ხელოვნების ან საინჟინრო ფაკულტეტების კიდევ უფრო მრავალფეროვან პროგრამებთან. დიზაინი არის თანამედროვე საერთაშორისო [ენა], ამიტომ კლასტერი ასევე არის საუკეთესო პლატფორმა ინტერნაციონალიზაციისთვის სხვადასხვა დონეზე. საგანმანათლებლო, ასევე ძირითადად მხატვრული და პრაქტიკული / გამოფენები, კონკურსები, რეზიდენციები... სტუდენტებმა განაცხადეს თანხმობა მეტად ითანამშრომლონ საერთაშორისო სკოლებთან, ერასმუსის პროგრამებთან, გაცვლით პროგრამებთან და ა.შ. ყველა შემთხვევაში, ეს მოითხოვს ინგლისური ენის მაღალ დონეს როგორც მასწავლებლებში, ასევე სტუდენტებში და კურსების შეთავაზებას ინგლისურ ენაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)⁶

ბაკალავრიატის მოდის პროგრამების ძირითადი მიზნები არის დინამიური და კარგად სტრუქტურირებული ძალიან სპეციფიკური და კომპლექსური საგნის საჭიროებების შესაბამისად, რაც მოდის დიზაინერებმა უნდა იცოდნენ; ამავდროულად, ყველა კომპეტენცია შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სტანდარტებს. საბაკალავრო პროგრამა მოდის დიზაინი ამზადებს მაღალკვალიფიციურ დიზაინერებს, რომლებიც ფლობენ ინდივიდუალურ სტილს, რომელიც შეესაბამება თითქმის საერთაშორისო სამიზნე ნიშნულებს, დიზაინის სწავლების ინოვაციური მიდგომის დამკვიდრების წყალობით, რომელიც ორიენტირებულია პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაზე და ხელს უწყობს ახალ პედაგოგიურ კულტურას, რომელიც ხაზს უსვამს მენტორობას. ეს ამკარად გამოჩნდა ადგილზე ვიზიტის დროს - მასწავლებლები და ლექტორები ერთდროულად ცდილობენ განავითარონ აუცილებელი პროფესიული უნარები, ხელი შეუწყონ შემოქმედებით აზროვნებას და შეისწავლონ შრომის ბაზრის თანამედროვე ტენდენციები და ბიზნეს ტექნოლოგიები. პრაქტიკული გამოცდილება აუცილებელია, პროგრამა ამკარად მხარს უჭერს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას და აძლიერებს გუნდური მუშაობის უნარს და გარემოსთან და ეკოლოგიურ ნორმებთან კავშირს, რაც დღესდღეობით ყველაზე დიდი პრობლემაა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)⁷

⁶ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

⁷ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

ეს პროგრამა ყველაზე ძველია, დაარსებულია 1959 წელს/ და ძირითადად უფრო ტრადიციულია, რაც ამ პროგრამას ოდნავ გამორჩეულს ხდის და აშკარად გამოჩნდა ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტების ნამუშევრებიდანაც კი. პროგრამის უპირველესი მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური ტექსტილის დიზაინერები, რომლებსაც აქვთ სრულყოფილად გააზრებული ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს როგორც მხატვრული ნამუშევრების, ასევე უტილიტარული ტექსტილის შექმნას, იქნება ეს ცალკეული თუ სერიულად წარმოებული. აშკარაა ახალი ტექნოლოგიებისა და მხატვრულ-დიზაინური აზროვნების ექსპერტული ცოდნა, მაგრამ არსებობს გაფართოების მეტი შესაძლებლობა. {მაგ. აკლია ახალი ციფრული საქსოვი მანქანები და ა.შ. პროგრამას გააჩნია ტექსტილის წარმოების ტექნოლოგიურ და ტექნიკურ ასპექტებზე კვლევის ჩასატარებლად საჭირო აღჭურვილობა, ასევე აერთიანებს კრეატიული დიზაინის კონცეფციებს და მრავალგანზომილებიან მიდგომას, ამიტომ პროგრამა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ მაღალი დონის კონკურენტუნარიანობა და დასაქმების გაფართოებული სპექტრი დიზაინის სფეროში ან თანამედროვე ხელოვნებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)⁸

განათლების უპირველესი მიზანი ორმხრივია: შეესაბამებოდეს საქართველოს სამრეწველო-სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნებს და ადაპტირდეს შესაბამისად, იმავდროულად აღზარდოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიონალები (ეს გამოჩნდა მაგალითად, სტუდენტებთან შეხვედრისას, რომლებსაც აქვთ ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის შესანიშნავი უნარები). აღნიშნულის მისაღწევად პროგრამაში ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ხუთი ახალი დისციპლინის დამატებით. თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარების განვითარება მიმდინარე ციფრულ ეპოქაში აუცილებელია, ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროგრამის თითქმის ყოველწლიურად აღჭურვას უახლესი საჭირო ინვენტარით, რათა გამოირჩეოდეთ სხვადასხვა ინდუსტრიულ-ტექნიკურ და ექსკლუზიურ-ტექნიკურ დიზაინში - ძირითადად კომპიუტერული პროგრამების განახლებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)⁹

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების დროს შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, ავლენს ჩვეულებრივ უფრო მაღალ სტანდარტებს. უსდ –ს ტექნიკურმა აღჭურვილობამ, პედაგოგიურმა პერსონალმა და პრაქტიკულმა ნამუშევრებმა აჩვენეს ძალიან

⁸ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

⁹ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

პროფესიული დონე. ადგილზე ვიზიტის დროს ნანახმა სამაგისტრო ნაშრომებმა დაადასტურა შესრულების მაღალი დონე, ზოგიერთი შეიძლება შეფასდეს ფრიადზეც კი, რაც ჭეშმარიტად უზრუნველყოფს მოდის დიზაინის სამაგისტრო პროგრამის მიზნების შესრულებას, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის სწავლებას მოდის დიზაინის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით. პროგრამები მუდმივად ავითარებენ მოდის და ბიზნესის სხვადასხვა შემოქმედებით უნარებს, ასევე სწავლების მეთოდების ინდივიდუალიზაციის წყალობით, ააქტიურებენ შემეცნებით კომპეტენციას თვითშემეცნების გაღრმავებისა და თვითდახელოვნების გზით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)¹⁰

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური ტექსტილის დიზაინერები, რომლებიც არიან დარგის კომპეტენტური მკვლევარები, აქვთ ექსპერტული ცოდნა როგორც ახალ ტექნოლოგიებში, ასევე მხატვრულ-დიზაინურ აზროვნებაში. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მიზნები მაგისტრატურის საფეხურზე თითქმის იგივეა, რაც საბაკალავრო პროგრამაში, რაც უფრო მეტად შეესაბამება არსებულ რეალობას, რათა იპოვონ სტუდენტებისთვის რეალური სამუშაო ხელოვნებაში ან უფრო დიზაინერზე ორიენტირებულ სფეროებში, როგორცაა ტურიზმი, მეწარმეობა ან ინტერიერის დიზაინი. ამ მრავალგანზომილებიანი მიდგომის ხაზგასმით, პროგრამა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები იყვნენ მაღალკონკურენტუნარიანები და ჰქონდეთ დასაქმების გაფართოებული სპექტრი თანამედროვე დიზაინის სფეროში. ეს ძალიან კარგადაა შემუშავებული, თუმცა ნათლად არ იყო წარმოდგენილი ადგილზე ვიზიტის დროს, ასევე მკაფიოდ არ ჩანდა სამაგისტრო პროექტებში, ასე რომ, ჩვენი რჩევაა, მიჰყევით ამ მიზნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)¹¹

პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს სამრეწველო დიზაინის დარგის განვითარებაში შეტანილ წვლილს. მიზნები აღწერილი და დადგენილია სამრეწველო დიზაინის საგნების სტანდარტების მსგავსად, რაც ითვალისწინებს პროფესიული განათლების ამალგას, რომელსაც ახასიათებს ცოდნის გაღრმავება და გაუმჯობესება როგორც სამეცნიერო-კვლევით-ანალიტიკური, ისე შემოქმედებით-იდეოლოგიურ-კონცეპტუალური თვალსაზრისით. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ტენდენციებსა და საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებს. [ეს დადასტურდა საერთაშორისო ბრენდებთან თანამშრომლობით მოწვეულ პერსონალთან შეხვედრაზე. მსხვილ

¹⁰ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

¹¹ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

ინდუსტრიულ სექტორებში მუშაობის დაბალი შესაძლებლობების ბოლოდროინდელმა ვითარებამ სტიმული მისცა პროგრამას დაეხვეწა პრაქტიკულ-შემოქმედებითი უნარები და გაიუმჯობესებინა ცოდნა ტექნიკურ-ტექნოლოგიურ საკითხებში, მათ შორის, უახლესი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში, რათა მაქსიმალურად აუწყოს ფეხი თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს რეალურ სამყაროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი, დაწესებულებების დათვალიერება ადგილზე და გასაუბრება;
- თსსა –ის მისია და თსსა –ის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- კლასტერის პროგრამების მიზნები;
- პორტფოლიო (სტუდენტური ნამუშევრები);
- აკადემიის ვებგვერდი <http://www.art.edu.ge>.

რეკომენდაციები – პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით რეკომენდაციები უნდა იქნას გათვალისწინებული უმაღლესის მიერ

რჩევები – არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება¹²

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□
პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□
პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დიზაინის კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მისი შინაარსით აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი იღებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დასრულების შემდეგ. ისინი არის გაზომვადი, შემოქმედებითად მიღწევადი და რეალისტური; საგანმანათლებლო პროგრამების (BA, MA) სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება კლასტერში შემავალი პროგრამების მიზნებს, „ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს“ შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს,

შეფასება ტარდება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისთვის.

სწავლის სფეროების კლასიფიკატორის აღმწერებს (0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი), "დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის" უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული მხარეებისთვის, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავებულია პედაგოგების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით, ხოლო პროგრამის შედეგები მოიცავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და იძლევა სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას. კლასტერის პროგრამებს აქვთ სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს, თუ როგორ მიიღწევა თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის კომპონენტების მეშვეობით. ამასთან ერთად, სწავლის შედეგების რუკა აღწერს შეფასების ფორმას თითოეული სწავლის შედეგისთვის, მონაცემთა შეგროვების დროს და თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილ დონეს, რაც დაცული უნდა იყოს შეფასების დროს. კლასტერში დაჯგუფებული სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ეფუძვნება უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს დიზაინში, სამრეწველო დიზაინში, მოდის დიზაინში, ტექსტილის დიზაინში - „III. სწავლის შედეგები“, სადაც ნათლად არის განსაზღვრული პროგრამის სწავლის შედეგები კურიკულუმში და ნათლად არის ჩამოყალიბებული თანამედროვე მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა, რომლებიც ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან, თანმიმდევრულია სწავლის სფეროს სირთულისა და შინაარსის თვალსაზრისით და შეფასებაში ვითარდება შესაბამისი ეტაპებისა და კვლევის სპეციფიკის შესაბამისად. პროგრამის სწავლის შედეგები ყოველწლიურად რეგულარულად იგეგმება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გამჭვირვალობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)

„მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და შინაარსს, შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 საფეხურის აღმწერის მოთხოვნებს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები „მოდის დიზაინის“ მიმართულებით უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების დასაქმებას კოსტიუმების დიზაინერის პოზიციაზე კერძო საწარმოებში, ასევე ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის არსებულ საწარმოებში. პროგრამა, კვალიფიკაციის დონეების შესაბამისად, ორიენტირებულია სწავლის შედეგზე, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებს, მათ შორის შრომის ბაზრის ანალიზს, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებებს, ასევე რეკომენდაციებს დამსაქმებლებისთვის, რომლებიც ეხება პრაქტიკული უნარების კონსოლიდაციას სასწავლო კურსებში, ტექნიკური და პრაქტიკული კომპეტენციების წილის გაზრდის მიზნით. "მოდის დიზაინის" საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებზე დიზაინში, სამრეწველო დიზაინში, მოდის დიზაინში, ტექსტილის დიზაინში, „III. სწავლის შედეგები“, სადაც კურიკულუმში ნათლად არის ჩამოყალიბებული პროგრამის სწავლის შედეგები და თანამედროვე მეთოდების ჩართვის მნიშვნელობა, რომლებიც ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. იგი ეყრდნობა კვალიფიკაციის ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს, მაგალითად, პრობლემების გადაჭრის გზებს (კრეატიული, არასტანდარტული) და ა.შ. სასურველია, რომ მოდის დიზაინში, ბაკალავრიატის შემოქმედებით და კონცეპტუალურ ნაწილთან ერთად, მეტი დრო დაეთმოს

დიზაინში ფუნქციური იდეების ძიებას და კვლევის უნარების განვითარებას, დიზაინის პროცესის გააქტიურებას კვლევითი და შემოქმედებითი და ექსპერიმენტული მიდგომებით, მხატვრული და სამეცნიერო შემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურებას კონფერენციებსა და რეფერირებად ჟურნალებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)

„ტექსტილის დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. იგი შეესაბამება პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მე-6 დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროს შინაარსს, რომელიც განისაზღვრება სწავლის სფეროს დეტალური აღმწერით და შეესაბამება სწავლის სფეროს კლასიფიკატორს (0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი).

ყველა დაინტერესებული მხარე (ფაკულტეტი, სტუდენტები, პროფესიონალი დიზაინერები და სხვა) ჩართული იყო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს სპეციფიკასთან. პროგრამის შედეგები ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, კრეატიული კვლევის განვითარებაზე და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომელიც შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიული დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ სტუდენტი იძენს დიზაინის პროცესის მაღალმხატვრულ და შემოქმედებით აზროვნების უნარს და ეძლევა სწავლის გაღრმავების შესაძლებლობა. სასურველია მეტი დრო დაეთმოს (ვიდრე ახლა) კვლევისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და სამეცნიერო კვლევის ინტეგრირებული უნარების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)

"სამრეწველო დიზაინის" საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს სპეციფიკასთან, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 დონის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროს შინაარსს, რომელიც განისაზღვრება სწავლის სფეროს დეტალური აღმწერით და შეესაბამება სწავლის სფეროს კლასიფიკატორს (0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი).

ყველა დაინტერესებული მხარე (ფაკულტეტი, სტუდენტები, პროფესიონალი დიზაინერები) ჩართული იყო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში. პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, კრეატიული ძიების განვითარებაზე და დიზაინის შემოქმედებით აზროვნებაზე, მაგრამ სასურველია მეტი დრო დაეთმოს (ვიდრე ამჟამად ეთმობა) კვლევის კომპონენტების გააქტიურებას, რაც გულისხმობს დიზაინის შექმნის პროცესში ვიზუალურ-ესთეტიკური და ფუნქციური ამოცანების გადაჭრას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)

„მოდის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და შინაარსს. პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერით და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის - „მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი“, დეტალური სფეროს მიხედვით განსაზღვრულ ცოდნას, უნარებსა

და პასუხისმგებლობებს და განსაზღვრულია უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით "დიზაინი, სამრეწველო დიზაინი, მოდის დიზაინი და ტექსტილის დიზაინი". ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ (აქტიური პროგრამის შემთხვევაში) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების დასაქმებას ძირითადად კოსტუმების დიზაინში, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ინდუსტრიაში (მამაკაცის და ქალის ხაზი), მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამის დონის შესაბამისი კვლევის პრაქტიკული უნარებისა და ტექნოლოგიური კომპეტენციების კონსოლიდაციის გაზრდა და ტრანსფერულ შედეგებზე ორიენტირებული დისციპლინების აქტიური ჩართულობა, რაც ხელს უწყობს ინტეგრირებული უნარების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)

„ტექსტილის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და შინაარსს. პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერით და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის - „მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი“, დეტალური სფეროს მიხედვით განსაზღვრულ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობებს და განსაზღვრულია უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით "დიზაინი, სამრეწველო დიზაინი, მოდის დიზაინი და ტექსტილის დიზაინი". საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ავითარებს დარგის მდიდარ ეროვნულ ტრადიციებს, ითვალისწინებს სპეციალობის საერთაშორისო ტექნოლოგიურ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მაღალი რანგის დიპლომირებული სპეციალისტების მომზადებას. საგანმანათლებლო პროგრამა ავითარებს დიზაინერულ აზროვნებას და პროფესიულ კულტურას მხატვრულ ტექსტილში. თუმცა, პროგრამის სრულყოფის მიზნით, აუცილებელია გავითვალისწინოთ კომპეტენციის გაზრდა შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)

„სამრეწველო დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და შინაარსს. პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერით და სწავლის სფეროს კლასიფიკატორის - „მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი“, დეტალური სფეროს მიხედვით განსაზღვრულ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობებს და განსაზღვრულია უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით "დიზაინი, სამრეწველო დიზაინი, მოდის დიზაინი და ტექსტილის დიზაინი". საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, მათი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმებას სხვადასხვა სემენტში, თან ერთვის პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ, ადგილობრივი ინდუსტრიული დიზაინერების ასოციაციის ჯგუფის მხარდაჭერა (აქტიური პროგრამის შემთხვევაში); გარდა დიზაინის პრაქტიკული უნარების კონსოლიდაციისა, მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტექნოლოგიების კომპეტენციის წილის გაზრდა და ტრანსფერულ შედეგებზე ორიენტირებული დისციპლინების აქტიური ჩართულობა, რაც ხელს უწყობს ინტეგრირებული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მოდის დიზაინის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსი;

- მოდის დიზაინის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსი;
- ტექსტილის დიზაინის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსი;
- ტექსტილის დიზაინის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსი;
- სამრეწველო დიზაინის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსი;
- სამრეწველო დიზაინის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსი;
- სასწავლო გეგმის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულების მიღწევა;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სექტორული მახასიათებლები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელი, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□
პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□
პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მეთოდად გამოიყენება განვითარების დინამიკის ინდიკატორი ინსტრუმენტი, როგორცაა პრეზენტაცია, პორტფოლიო, ექსპოზიცია, გამოფენა/შოუ, ინტერვიუ, ანგარიში და ა.შ.

პერსონალის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. ცვლილებები შეფასების ფორმებსა და მეთოდებში. სასწავლო შეფასების პირდაპირი ფორმები მოიცავს სილაბუსით განსაზღვრულ შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას. თითოეული შეფასებისთვის განსაზღვრულია მინიმალური ბარიერი, თუმცა ნულოვანი ქულების არარსებობა არ იძლევა შეფასების სრულ სურათს. მაშინაც კი, თუ სილაბუსით გათვალისწინებული არ არის შეფასების კომპონენტი, ქულა არის 1 (ერთი).

წარმოდგენილია სწავლის შედეგების ე.წ. არაპირდაპირი შეფასება. კურსდამთავრებულთა შეფასების და თვითდასაქმების კვლევის შედეგები და მათი ანალიზი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის/მასწავლებლების/მოწვეული პროფესორების, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, პროგრამის გარე შეფასება.

სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასების პირველადი მექანიზმი მათი მიღწევების მონიტორინგია. ეს მექანიზმი ეხმარება დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და ცალკეულ სასწავლო

კურსებში სწავლების ხარისხი და განისაზღვროს სტუდენტების მომზადების დონე, შეფასდეს გამოყენებული შეფასების მეთოდების ადეკვატურობა და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა.

მონიტორინგის პროცესი მოიცავს პირველადი მონაცემების შეგროვებას, აკადემიური მოსწრების მონაცემთა ანალიზსა და ანალიზის შედეგების პრეზენტაციას/განხილვას.

პროგრამის ყოველი სწავლის შედეგი ფასდება პროგრამის ბოლოს და შეფასების მექანიზმები განსაზღვრავს რამდენად მიღწეულია პროგრამის მიზნები. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების შესაბამისობა დგინდება სწავლის შედეგების რუკის მეშვეობით, რომელიც გვიჩვენებს, რომელი კურსები, აქტივობები ან კვლევის კომპონენტები უწყობს ხელს სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული პროგრამისთვის შემუშავებულია და წარმოდგენილია ორი სასწავლო გეგმის რუკა: რუკა 1.- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და რუკა 2.-პროგრამის სასწავლო კურსების, სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (კურიკულუმის რუკა - გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). წარმოდგენილი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ ემთხვევა პროგრამის სწავლის შედეგების რუკას, რაც გაურკვეველს ხდის სწავლის შედეგების მიღწევის განსაზღვრას.

უსდ ატარებს სწავლის შედეგებისა და აკადემიური მოსწრების ანალიზს, რომლის მიზანია შეამოწმოს რამდენად ეფექტურია სასწავლო პროცესი კონკრეტულ დისციპლინაში. ამასთან, უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამაში შეტანილი ცვლილებების ანალიზი, რომელიც გამოწვეულია კვლევის შედეგების შეფასებით, ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ხდება მიღებული შედეგების გაანალიზება, შედეგების შედარება ხდება სამიზნე ნიშნულებთან და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება შემდეგი აქტივობები, რომელიც გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. თუმცა, პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკები არ შეიცავს პროგრამის შეფასების სრულ მექანიზმს, კერძოდ, პროგრამებს არ აქვთ სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, ამიტომ შეუძლებელია სწავლის შედეგების შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის შედარება სამიზნე ნიშნულებთან. (პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის დონეს. ეს სამიზნე ნიშნული შეიძლება განსხვავებული იყოს თითოეული პროგრამისთვის სპეციალობის/დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგები მიუთითებს, რომ პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში და იღებს მხარდაჭერას შედეგების გაზომვისა და ანალიზის უნარების გასაუმჯობესებლად. უსდ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის გაცნობას ყველა დაინტერესებულ მხარისათვის.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელი და დონე)¹³

¹³ საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შეფასება;
- მექანიზმები და შედეგების ანალიზი;
- სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები;
- შეფასების ფორმები და კრიტერიუმები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- ექვსივე პროგრამისთვის დაიწეროს სამიზნე ქულები თითოეული შედეგისთ
- დაემატოს 0 შეფასების ქულა, თუ არ არის შეფასების კომპონენტი;

კლასტერის საერთო რჩევები:

სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, 1-3 ქულა და 4-6 ქულა, სასურველია შეიცვალოს შემდეგნაირად - 1-2 ქულა, 3-4 ქულა და 5-6 ქულა. უფრო ვალიდური რეიტინგისთვის ამ შემთხვევაში სასურველია გქონდეთ ერთი ბიჯი;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ზუსტად არის შემუშავებული და აკმაყოფილებს თითქმის ყველა სტანდარტს. სტრუქტურა და შინაარსი არის თანმიმდევრული და ლოგიკური, საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS - კრედიტების გადაცემისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად და ასევე იცავს აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილ წესებს. თსსა მიჰყვება ოთხეტაპიან მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელებისთვის. ასევე ეხმიანება 5-წლიანი პროგრამის განვითარების გეგმას, რეაგირებას ახდენს დაინტერესებული მხარეების რჩევებზე და პროგრამის განხორციელების პროცესის შეფასებაზე, რომელიც განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის სტრატეგიის მეშვეობით. პროგრამებისა და კურსების სტრუქტურა

უზრუნველყოფს სტუდენტების მრავალფეროვანი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროგრამის შინაარსი შექმნილია ჩარიცხული სტუდენტების კომპეტენციების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო გეგმა აერთიანებს სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ლოგიკურ და თანმიმდევრულ წყობას. კლასტერის კურიკულუმების შემუშავებისას ყურადღება გამახვილდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანაზე. სამაგისტრო პროგრამა ლოგიკურად ეფუძნება საბაკალავრო პროგრამაში შეძენილ ცოდნასა და უნარებს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიდრმაგონ დარგის ცოდნა, გააძლიერონ არსებული უნარები და შეიძინონ ახლები.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ჩნდება შეკითხვა, შესაძლებელია თუ არა მაგისტრატურაზე გაგრძელება ბაკალავრიატის სხვა დისციპლინებიდან, მაგალითად, სხვადასხვა მხატვრული დისციპლინებიდან ან სხვა, კიდევ უფრო ტექნიკური თუ თეორიული დისციპლინებიდან. საინტერესო იქნებოდა ავუხსნათ სტუდენტებს ეს შესაძლებლობები, რომ სწავლა გააგრძელონ მაგისტრატურაში წინა საბაზისო გამოცდილების გარეშე, რამდენადაც მაგისტრატურის დონე ძირითადად უნდა იყოს შემუშავებული ისე, რომ იყოს ღია ექსპერიმენტებისთვის და შეძლოს განიხილოს ახალი კვლევის შედეგები და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები, სადაც ინტერდისციპლინურობა კიდევ უფრო მისასალმებელია.

ზოგადად მოდის დიზაინის, სამრეწველო დიზაინის და ტექსტილის დიზაინის პროგრამები აგებულია შემოქმედებითი ინტუიციის, სტილის და ტექნიკური/ტექნოლოგიური უნარების განვითარების გათვალისწინებით. ისინი ასევე მოიცავს ეკონომიკურ, ინდუსტრიულ, ტექნოლოგიურ და ესთეტიკურ ცოდნას, რომელიც შეესაბამება თანამედროვე გამოწვევებს. პროგრამები ხაზს უსვამს პრაქტიკულ ამოცანებს და იძლევა დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის შესაძლებლობებს პერფორმანსისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. გარდა ამისა, სასწავლო პროგრამა მოიცავს დიზაინის კრეატიულობისა და ბიზნეს დისციპლინების ერთობლიობას, როგორცაა ბიზნეს განათლება და ასორტიმენტის შემუშავება/დიზაინის პროდუქტების წარმოება. ეს ინტეგრაცია ხელს უწყობს ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას და შემოქმედებით პროცესს. მიუხედავად აღნიშნული ფაქტებისა, საინტერესო იქნებოდა საგანმანათლებლო პროცესში ისეთი დისციპლინების ჩართვა, რომლებიც ითვალისწინებენ წარმოების სპეციფიკას, დიზაინის პროდუქციის ფუნქციონალური თვისებების თვალსაზრისით, რაც, გარდა დარგში პრაქტიკული უნარებისა, ხელს უწყობს აზროვნების და ინტერდისციპლინური მიდგომების განვითარებას; ხოლო დიზაინის მიმართულებით უცხოურ სკოლებში სწავლების პრაქტიკა ასევე ორიენტირებულია თეორია/პრაქტიკაზე, ინტერდისციპლინურ კომპლექსურ მიდგომებზე, შემოქმედებითი აზროვნების, ექსპერიმენტული აქტივობების გათვალისწინებით და ა.შ.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებგვერდი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, ეს სტრუქტურა ნათელია, მაგრამ შეიძლება გამდიდრდეს უფრო ფართო საიმეჯო დოკუმენტაციით და გამოფინოს მხოლოდ პროფესიონალური სურათები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)

საბაკალავრო პროგრამა "მოდის დიზაინი", მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სახვითი ხელოვნების ბაკალავრი / BA მოდის დიზაინში ძალიან კარგად არის შემუშავებული ინტერდისციპლინური მიდგომით, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სპეციალიზებულ დისციპლინებს, არამედ ზოგად ჰუმანიტარულ და მარკეტინგულ მეცნიერებებს. თითოეული საგანი ითვალისწინებს სპეციალობის სპეციფიკას, მათ შორის სპეციალიზებულ საგნებსა და პრაქტიკულ კომპონენტებს. პროგრამების შინაარსი ხაზს უსვამს საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შემოქმედებით ექსპერიმენტულ კვლევას, ხელს უწყობს ინოვაციურ აზროვნებას და ეფექტური კომუნიკაციისა და ბიზნესის უნარებს. პროგრამა შეიძლება

ჩაითვალოს კარგ პრაქტიკად სხვა აკადემიების/სკოლებისთვის] ადგილობრივ გარემოში. პროგრამის ხელახლა წარმატებით შემუშავებამ ადადგინა ეს მახასიათებლები: ბალანსი ტრადიციულ და კონცეპტუალურ მიდგომას შორის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სწავლების ინტერდისციპლინური ხასიათი და ინტერაქტიული დიზაინის პრაქტიკა, მოხდა ბაზრის დინამიკისა და ტენდენციების გააზრება, სტუდენტების აღჭურვა ნავიგაციისა და ბაზრის მოთხოვნებზე ეფექტურად რეაგირების უნარით. იგი შედგება 240 ECTS კრედიტიდან, საიდანაც: სპეციალობის დისციპლინებს ეთმობა 140 კრედიტი, ძირითად საგანს – 18 კრედიტი, საუნივერსიტეტო – 36 კრედიტი, არჩევითი დისციპლინები – 46 კრედიტი. 1 კრედიტის მოცულობა არის 25 საათი. ერთი სასწავლო წელი - 2 სემესტრი, კრედიტის მოცულობა 60 (ECTS). პროგრამა ასევე არეგულირებს ცალკეული სტუდენტის დატვირთვას, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა, რაც დადებითია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)

პროგრამის მიზანია დიზაინერების (სპეციალისტების) განათლება, რომლებიც შეძლებენ წარმატებით იმუშაონ ტექსტილის დიზაინის სფეროში პროგრამის ფარგლებში შექმნილი ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით. ასევე, პროგრამა მოიცავს ვიზუალური ხელოვნების საბაზისო კურსს. პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება ადგილობრივ სფეროში არსებულ ვითარებას, მაგრამ ძალზედ მნიშვნელოვანია ვახსენოთ შესაბამისი სტუდენტური პრაქტიკის ფაქტი, განსაკუთრებით თანამედროვე ახალი ტექნოლოგიების ერაში, საწარმოო და სამრეწველო ტექსტილის წარმოების სფეროში. პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს მეტი ახალი კვლევის შედეგი და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სახვითი ხელოვნების ბაკალავრიატი ტექსტილის დიზაინში / BFA მიიღება სრული ბაკალავრიატის კურსის წარმატებით გავლის შემდეგ; ბაკალავრი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი (8 სემესტრი), პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი (ECTS) - იგივე რაც ზემოთ იყო - უნდა წავშალო? სპეციალობის დისციპლინები - 140 კრედიტი • ძირითადი საგანი - 18 კრედიტი • საუნივერსიტეტო - 36 კრედიტი • არჩევითი დისციპლინები - 46 კრედიტი. 1 კრედიტის მოცულობა - 25 საათი. ერთი აკადემიური წელი - 2 სემესტრი, კრედიტების მოცულობა - 60 (ECTS). სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვის მიხედვით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. 1 სემესტრი მოიცავს - სასწავლო კვირების და სესიის პერიოდის ერთობლიობას, 15 სასწავლო კვირის ჩათვლით, სესიის კვირებს - მე-16, მე-17, მე-18. 1 სემესტრის განმავლობაში - ერთი შუალედური გამოცდა. სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ - დასკვნითი გამოცდა. 2 კვირა დასკვნითი გამოცდებისთვის და 1 კვირა დამატებითი გამოცდებისთვის.

"ცისფერი ტაბლის" კვლევითი ლაბორატორია მეტ ხილვადობას სძენს ტექსტილს. უსდ უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ინტერნეტის საშუალებით ძირითადად ქართულ ენაზე. მეტი ინფორმაცია და დამდასტურებელი სურათები უფრო მეტად გაზრდის პოტენციურ უცხოურ თანამშრომლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)

თანდართული მასალებისა და ადგილზე დათვალისწინების მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სამრეწველო დიზაინის საბაკალავრო პროგრამის შინაარსი ჩანს მიზანმიმართულად შემუშავებული, თანმიმდევრული, აშკარად ითვალისწინებს სწავლის სფეროს სპეციფიკას და მიჰყვება დასაქმების ფაქტობრივ მდგომარეობას, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ასევე, პროგრამის დონე

ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს. პროგრამა შემუშავებულია თანამშრომლობითი პროცესის შედეგად, რომელშიც ჩართულია აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)

მოდის დიზაინის მუდმივად განახლებული სამაგისტრო პროგრამა თანმიმდევრულია, შექმნილია უსდ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად. შინაარსი და სტრუქტურა მიჰყვება დარგის უცხოურ საგანმანათლებლო ტენდენციებს, რაც სტუდენტებს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს აძლევს. მაგისტრატურის ყველა სამუშაოსთან შედარებით, რომელიც თან ახლავს შეფასებას, სამაგისტრო პროგრამა მოდის დიზაინი ყველაზე მეტად ითვალისწინებს ახალი კვლევების შედეგებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. კრედიტები შეესაბამება თბილისის სახელმწიფო აკადემიის საბაზისო სტრუქტურას. ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, საიდანაც სპეციალიზაციის დისციპლინები იღებენ 80 კრედიტს, საუნივერსიტეტო დისციპლინებს ეთმობა 9 კრედიტი და არჩევით დისციპლინებს - 31 კრედიტი, რომელიც შეესაბამება სტანდარტს და უპირობოდ შეესაბამება მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)

0212.14 ტექსტილის დიზაინი - სამაგისტრო პროგრამას აქვს ადეკვატური სტრუქტურა, რომელიც აგებულია სხვა პროგრამების მსგავსად, ECTS სისტემის ბაზაზე. აკადემიური დატვირთვის წინაპირობები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად: სახვითი ხელოვნების მაგისტრი ტექსტილის დიზაინში / MFA. სტუდენტის დატვირთვა მაგისტრატურაზე სტანდარტულია - 4 სემესტრი მინიმუმ 120 კრედიტი, მათ შორის სპეციალობები - 80 კრედიტი, საუნივერსიტეტო - 12 კრედიტი, არჩევითი დისციპლინები - 28 კრედიტი. შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება სწავლის ციკლს, უზრუნველყოფს ინდივიდუალურობას, მაგრამ პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს მეტი ახალი კვლევის შედეგი და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)

თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული მასალების შესწავლასა და ადგილზე ვიზიტის შედეგად არ აღმოჩნდა სერიოზული გადახრა ამ პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ძირითადი მოთხოვნებიდან, ამიტომ ეს პროგრამა შეესაბამება ყველა სტანდარტის მოთხოვნებს, რათა სტუდენტმა წარმატებით დაასრულოს სრული სამაგისტრო კურსი და მიიღოს დიპლომი. სწავლის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი) პროგრამის მოცულობა: სტუდენტის დატვირთვა მაგისტრატურაზე 4 სემესტრის განმავლობაში შეადგენს არანაკლებ 120 კრედიტს, მათ შორის: სპეციალობა - 80, ძირითადი - 15, საუნივერსიტეტო - 25 კრედიტი; 1 კრედიტი - 25 საათი. სემესტრის სტრუქტურა მოიცავს - სასწავლო კვირების ერთობლიობას და სესიის პერიოდს, მათ შორის - 20 კვირას, აქედან სააუდიტორიო სწავლება შეადგენს 15 სასწავლო კვირას.

არსებობს პროგრამის შემდგომი განვითარების ვარიანტი (რადგან ძირითადად „დიზაინერების“ ენა ინგლისურია), რაც სასურველი იქნებოდა - რა თქმა უნდა, შესაძლებლობებიდან გამომდინარე - შემოიღეთ სავალდებულო პროფესიულ გამოცდილებად უცხოური პრაქტიკა, რომელიც სავალდებულო იქნება ამ კონკრეტული პროგრამის სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერის საბაკალავრო პროგრამა;
- კლასტერის სამაგისტრო პროგრამა
- თსსა ვებგვერდი <http://www.art.edu.ge>;
- ინტერვიუ მონაწილეებთან ადგილზე ვიზიტის დროს.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის ზოგადი რჩევები:

სასურველია, საგანმანათლებლო პროცესში ისეთი დისციპლინების ჩართვა, რომლებიც ითვალისწინებს წარმოების სპეციფიკას, დიზაინის პროდუქციის ფუნქციონალური თვისებების თვალსაზრისით, რაც, გარდა სფეროს შემოქმედებითი უნარების განვითარებისა, ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას, ინტერდისციპლინურ მიდგომებს, მაშინ როცა დიზაინის მიმართულებით უცხოურ სკოლებში სწავლების პრაქტიკა ასევე ორიენტირებულია თეორია/პრაქტიკაზე, ინტერდისციპლინურ კომპლექსურ მიდგომებზე, შემოქმედებითი აზროვნების, წარმოების სპეციფიკის, ექსპერიმენტული აქტივობების და ა.შ., გათვალისწინებით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□
პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□
პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში, თანდართული დოკუმენტაცია და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია ითვალისწინებს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაციის აღმწერს, სწავლის სფეროს დეტალურ შინაარსს, განსაზღვრულია სწავლის სფეროს კლასიფიკატორით (0212 - მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი), და „დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით. სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილის შინაარსი და შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეებს. კერძოდ, თითოეული პროგრამის სავალდებულო კომპონენტის სწავლის შედეგების ძირითადი ნაწილი შეესაბამება პროგრამების მიზნებსა და შინაარსს (პროგრამით მომზადებული სასწავლო რუკები ადასტურებს ურთიერთკავშირს სასწავლო კურსებსა და საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსს შორის).

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული სასწავლო პროგრამა შეიცავს ინფორმაციას აკადემიური საგნის შესახებ. კერძოდ: კურსის დასახელება, კრედიტების რაოდენობა საკონტაქტო/არასაკონტაქტო საათების მიხედვით, კურიკულუმის შემმუშავებლის სახელი/გვარი, მიზანი, შინაარსი, ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლის მეთოდები, სასწავლო რესურსები და ლიტერატურა. კლასტერის პროგრამებში აქტიურად არის წარმოდგენილი პრაქტიკული დისციპლინები და შესაბამისია სასწავლო პროცესში საკონტაქტო საათების რაოდენობაც. თუმცა, პრაქტიკული დისციპლინები, რომელთა კრედიტები გაიზარდა აღნიშნულ პროგრამაში, როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, რეკომენდირებული იყო დამსაქმებლების მიერ ახალ პროგრამაში გასათვალისწინებლად და ეს პრაქტიკული დისციპლინები მოითხოვს როგორც სასწავლო კომპონენტის კრედიტების, ასევე სწავლის სფეროს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის გაძლევას. სასურველია, გაიზარდოს პრაქტიკული დისციპლინებისთვის განსაზღვრული საკონტაქტო საათები, კლასტერის პროგრამების სპეციფიკის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, სასურველია დაემატოს პრაქტიკოსი მასწავლებელი სამშენებლო და ტექნოლოგიების მიმართულებით. სასწავლო რესურსი ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს რეალური მიღწევების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან. კლასტერის პროგრამების სასწავლო გეგმა ძირითადად ორიენტირებულია დიზაინის ესთეტიკური და კონცეპტუალური ხელოვნების მიმართულებით უნარების განვითარებაზე. სასურველია პროგრამებში აქტიურად იყოს წარმოდგენილი/დამატებული ბაზარზე ორიენტირებული დისციპლინები, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს ზუსტად გადაჭრას საინტერესო და კრეატიული კონცეფციების ტექნიკური ამოცანები, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო დიზაინის განათლების მოთხოვნები და კლასტერის პროგრამების მიზნები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)

"მოდის დიზაინის" პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება აკადემიური პროგრამის შედეგებს. პროგრამა მოიცავს საუნივერსიტეტო, საბაზო და არჩევით აკადემიურ დისციპლინებს, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიღრმავოს ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზებული კომპეტენციები. ამას ადასტურებს პროგრამასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების რუკა. სასწავლო კურსებზე კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად: ძირითადი დისციპლინები -18 კრედიტი, საუნივერსიტეტო დისციპლინები - 36 კრედიტი, არჩევითი დისციპლინები -46 კრედიტი, სპეციალობის საავტორო დისციპლინების ჩათვლით. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს სპეციალიზაციის სასწავლო კურსი, რომელსაც გაუძღვებიან სპეციალურად მოდის სფეროში მოწვეული აქტიური პრაქტიკოსები კერძო და საჯარო სექტორიდან, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამა მოიცავს განახლებულ სასწავლო კურსებს, ასევე საჭირო ლიტერატურას და პროგრამებში მითითებულ სხვა საგანმანათლებლო შემოქმედებით და ბიზნეს სფეროებს, მათ შორის საავტორო პროგრამებს. სპეციალიზაციის დისციპლინები - 140 კრედიტი, სამრეწველო პრაქტიკა გათვალისწინებულია სასწავლო წლის V-VI სემესტრებში. პროგრამაში მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები საჭიროებს განახლებას ან/და თანამედროვე მეთოდოლოგიური ლიტერატურისა და ბმულების დამატებას. (ტრადიციული ტექნოლოგიების გარდა, სასურველია დაემატოს საინფორმაციო ბაზა დარგის უახლეს მიღწევებზე). პროგრამის სასწავლო გეგმა ძირითადად ორიენტირებულია კოსტიუმების დიზაინში კონცეპტუალური ხელოვნების მიმართულებით უნარების განვითარებაზე, ასევე, სტუდენტს უნდა მიეცეს საშუალება იმუშაოს საგანმანათლებლო შემოქმედებით პროექტებზე კოსტიუმების დიზაინის სხვა ხედვებისა და სტილის მიმართულებით, და შეისწავლოს საბაზრო ურთიერთობებისა და მარკეტინგის საფუძვლები. სასურველია პირველ წელს ისწავლებოდეს დისციპლინა

„ქსოვილის აპლიკაციის კოლაჟი“, პროგრამაში აქტიურად იყოს წარმოდგენილი ბაზარზე ორიენტირებული დისციპლინები, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო დიზაინის განათლების მოთხოვნები და თავად პროგრამის მიზნები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)

"ტექსტილის დიზაინის" პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება პროგრამის შედეგებს და უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტის - ტექსტილის დიზაინის ბაკალავრის მომზადებას ფართო დარგის ცოდნითა და კომპეტენციებით, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკულ საქმიანობაზე და უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებაზე. სილაბუსებში მითითებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათები, თუმცა მიზანშეწონილია გადაიხედოს საკონტაქტო საათების ოდენობა, რადგან შედეგზე ორიენტირებული პრაქტიკული საქმიანობა მაქსიმალურ დროს მოითხოვს (ასეთ შესაძლებლობას იძლევა პრაქტიკული დისციპლინებისთვის გამოყოფილი 5 კრედიტი). სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად შესაბამის კომპონენტებსა და კრიტერიუმებს. სასწავლო გეგმის რუკა ასახავს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსებს შორის არსებულ მიმართებას. იგი შეესაბამება კურსის შინაარსს და ითვალისწინებს სწავლის შედეგებს. „ტექსტილის დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს პროგრამით განსაზღვრული 240 კრედიტი, სპეციალიზაციის დისციპლინა - 140 კრედიტი, საბაზო კურსები - 18 კრედიტი, საუნივერსიტეტო კურსები - 36 კრედიტი და არჩევითი დისციპლინები - 46 კრედიტი, რაც დასტურდება სწავლის შედეგების თანდართული რუკით. იგი სრულ შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან, ტექსტილის დიზაინის სასწავლო კურსი არის საგანმანათლებლო კურსი მდიდარი ტრადიციითა და გამოცდილებით, რაც დასტურდება პროგრამის მრავალწლიანი არსებობით და კურსდამთავრებულთა მაღალი დონის ნამუშევრებით. თუმცა სასურველია, რომ ქართულ ტრადიციულ კულტურულ კვლევებზე დაფუძნებული ნამუშევრები ფართო მასებისთვის გახდეს ცნობილი და ასევე გამოყენებული იქნეს მათი მაღალი შემოქმედებითი პოტენციალი და გაძლიერდეს მხატვრული, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მიმართულებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)

„სამრეწველო დიზაინის“ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება აკადემიური პროგრამის შედეგებს. პროგრამა მოიცავს საუნივერსიტეტო, საბაზო და არჩევით აკადემიურ დისციპლინებს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიდრმაგონ ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზებული კომპეტენციები. ამას ადასტურებს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. პროგრამა „სამრეწველო დიზაინი“ მოიცავს - 240 კრედიტს (ECTS), რომელთა შორის კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად: 36 კრედიტი - საუნივერსიტეტო დისციპლინები, 18 კრედიტი - საბაზო დისციპლინები, 140 კრედიტი - სპეციალიზაციის დისციპლინები, 46 კრედიტი - არჩევითი კურსი. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამრეწველო დიზაინის მიმართულება მოიცავს სამრეწველო-ტექნიკური და ექსკლუზიური პროფილის დიზაინის სრულ სპექტრს, მათ შორის ყველა სახის საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სატრანსპორტო, დასვენების, გართობის, გარემოს გაუმჯობესების, სპორტისა და სხვადასხვა ტიპის სპეციალური აღჭურვილობის დიზაინს. პროგრამა მოიცავს განახლებულ სასწავლო კურსებს, თუმცა პროგრამებში მითითებული სხვა სასწავლო რესურსები უნდა გადაიხედოს (კურსების ზოგიერთ თემას სჭირდება ლიტერატურის განახლება ან დამატება). კომპოზიცია, პროექტირება, მოდელირება, ციფრული მოდელირება, ერგონომიკა (ტრადიციული ტექნოლოგიების გარდა სასურველია უახლეს მიღწევებზე

დაფუძნებული ინფორმაციის დამატება). მშენებლობა და ტექნოლოგია, პროგრამის სასწავლო გეგმა ძირითადად ორიენტირებულია დიზაინის მხატვრულ-ესთეტიკური უნარების განვითარებაზე, ასევე, სტუდენტს უნდა მიეცეს საშუალება შეისწავლოს საბაზრო მარკეტინგული ურთიერთობების საფუძვლები. პროგრამაში აქტიურად უნდა იყოს წარმოდგენილი ბაზარზე ორიენტირებული დისციპლინები, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო დიზაინის განათლების მოთხოვნები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4

„მოდის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შინაარსი და შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს. პროგრამა მოიცავს განახლებულ სასწავლო კურსებს. ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, ლაბორატორიული სამუშაოები და ა.შ. შექმნილია თითოეული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს, საიდანაც სპეციალიზაციის დისციპლინებია - 80 კრედიტი, ხოლო საუნივერსიტეტო დისციპლინები - 9 კრედიტი. არჩევითი დისციპლინები, ნაშრომზე მუშაობა - 31 კრედიტი; ძირითადი კონსტრუქცია, მოდის დიზაინის პროცესების ცოდნა და კრეატიული პორტფოლიო არის აუცილებელი მოთხოვნები მოდის დიზაინის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებად. მნიშვნელოვანია (სასურველია პროგრამაში აქტიურად იყოს დანერგილი/დამატებული საბაზრო დისციპლინები, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო დიზაინის განათლების მოთხოვნები და თავად პროგრამის მიზნები არჩევითი დისციპლინების მეშვეობით. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და სხვა სასწავლო მასალები შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. პროგრამის თანამშრომლებმა შექმნეს და მოამარაგეს ბიბლიოთეკა კურსებისთვის ძირითადი ლიტერატურის პაკეტით, სასურველია დაემატოს ადგილობრივი და საერთაშორისო მიღწევები მოდის დიზაინის უახლეს მიდგომებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)

„ტექსტილის დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს. პროგრამა მოიცავს განახლებულ სასწავლო კურსებს. ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, ლაბორატორიული სამუშაოები და ა.შ. შექმნილია თითოეული კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს, საიდანაც სპეციალიზაციის დისციპლინებია - 85 კრედიტი, არჩევითი კურსი და მოდული - 12 კრედიტი. საუნივერსიტეტო დისციპლინები - 30 კრედიტი; საერთაშორისო დიზაინის განათლების მოთხოვნების გათვალისწინებით და ახალი ტიპის დიზაინერის ჩამოყალიბებისთვის, აუცილებელია შემუშავებული იქნას ახალი მიდგომები და სასწავლო პროგრამები საერთაშორისო დიზაინის განათლების გამოცდილებასთან შესაბამისობაში, რათა დააკმაყოფილოს თავად პროგრამის მიზნები. ქართული სადიზაინერო განათლებისა და დიზაინერის შემდგომ განვითარებაში განსაზღვრული სავალდებულო და სხვა საგანმანათლებლო მასალები შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. პროგრამის პერსონალმა შექმნა და მოამარაგა ბიბლიოთეკა კურსებისთვის ძირითადი ლიტერატურის პაკეტით, ბიბლიოთეკაში ასევე არის უახლესი ლიტერატურა, რომელიც მოიცავს მასალას ადგილობრივი და საერთაშორისო დიზაინის განვითარების შესახებ. პროგრამა შემუშავებულია სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით და ორიენტირებულია სტუდენტების პროფესიული უნარებისა და შემოქმედებითი აზროვნების გადრმავებასა და სრულყოფაზე. პროგრამის მიზანია ამ დარგის მაღალკვალიფიციური ტექსტილის დიზაინერებისა და მკვლევარების მომზადება, როგორც ახალი ტექნოლოგიების, ისე მხატვრულ-დიზაინური აზროვნების

თვალსაზრისით, რომლებსაც გააჩნიათ როგორც ტექსტილის წარმოების ტექნოლოგიური და ტექნიკური მახასიათებლების კვლევის უნარები, ასევე შემოქმედებითი დიზაინის კონცეფციები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)

„სამრეწველო დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს. პროგრამა მოიცავს განახლებულ სასწავლო კურსებს. ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, ლაბორატორიული სამუშაოები და ა.შ. შექმნილია თითოეული კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს, საიდანაც სპეციალიზაციის დისციპლინებია - 80 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი; სამრეწველო დიზაინი. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა ოპტიმალურად არის სინთეზირებული და უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფს პროგრამას, რომელიც აძლიერებს პროგრამის მოქნილობას და პრაქტიკულ კომპონენტს. ხოლო სტუდენტს უნდა მიეცეს საშუალება შეისწავლოს საბაზრო ურთიერთობები (სასურველია პროგრამაში აქტიურად იყოს დანერგილი/დამატებული საბაზრო დისციპლინები. სამაგისტრო საერთაშორისო დიზაინის განათლების მოთხოვნების შესაბამისად, ოპტიმალურად სინთეზირებული და დაბალანსებული იყოს პრიორიტეტების მიხედვით, თავად პროგრამის მიზნების მისაღწევად. (ეს შეიძლება გაკეთდეს არჩევითი დისციპლინების დამატებით). სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და სხვა სასწავლო მასალები შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. პროგრამის თანამშრომლებმა შექმნეს საბაზისო ლიტერატურის პაკეტი, რომელიც სასურველია იყოს შევსებული, რათა გაფართოვდეს დასაქმების დიაპაზონი ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტების მიღწევებზე და ახალ ინდუსტრიულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია სასწავლო პროცესს აქტიურად დაემატოს პრაქტიკული დისციპლინები კონსტრუქციული და თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომებით დიზაინში (არჩევითი დისციპლინების სახით), რაც დაეხმარება სტუდენტებს მრავალმხრივი საბაზისო ცოდნის შექმნაში, ინტელექტუალური და კულტურული თეზაურუსის ჩამოყალიბებაში;
- სასურველია პორტფელიოს დიზაინის გადახედვა, მაგ. დაემატოს CV ფუნქცია (პროექტებში, კონკურსებში, გამოფენებში მონაწილეობა);

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 1.5 აკადემიური კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაშვების წინაპირობები გულისხმობს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე ადამიანების ჩართვას. პროგრამის წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგს, სასწავლო ციკლს, მისანიჭებულ კვალიფიკაციას და სწავლების ენას. სტუდენტების მიღება პროგრამაზე ხდება სტუდენტური კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც შემუშავებული იყო 2017-2018 წლის შემოდგომის სემესტრში. ასევე, 2019-2020 წლების საგაზაფხულო სემესტრში, მეთოდოლოგიაში განხორციელდა გარკვეული კორექტირება, რაც უკავშირდებოდა ელექტრონულ (დისტანციურ) სწავლებას. სტუდენტთა კვოტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის ეფექტურობის განსაზღვრის ერთ-ერთი მექანიზმი არის ახალ სასწავლო წელს სტუდენტთა ჩარიცხვის შედარება წინასწარ გამოცხადებულ მისაღებ კვოტასთან. ასევე შეფასებულია მეთოდოლოგიის ეფექტურობა და დადგენილია მისი შესაბამისობა სამიზნე ნიშნულებთან. აგრეთვე, განსაზღვრულია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

პროგრამის წინაპირობები და პროცედურები არის სამართლიანი, საჯარო და ყველა დაინტერესებულისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.art.edu.ge. მოქმედებს ცხელი ხაზი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, ციკლთან, კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

სრული ზოგადი განათლების მქონე პირი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენის გამოცდების შედეგების საფუძველზე (გრანტის მისაღებად პრიორიტეტის მიხედვით ჩასაბარებელი საგნებია: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხო ენა 3. მათემატიკა/ისტორია/ხელოვნება. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელმაც გაივლისა თსსა-ს შემოქმედებით კონკურსს. შემოქმედებითი კონკურსის შესახებ ინფორმაცია აბიტურიენტებისთვის ხელმისაწვდომია არანაკლებ 1 თვით ადრე. (შემოქმედებითი კონკურსის დებულება წარმოდგენილია).

პროგრამაში ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში. კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც მიიღეს ზოგადი საშუალო განათლება ან მისი ეკვივალენტი უცხო ქვეყანაში; II. საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც მიიღეს ზოგადი საშუალო ან მისი ეკვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში და სწავლობდნენ საზღვარგარეთ ზოგადი საშუალო განათლების ბოლო ორი წლის განმავლობაში; III. იმ პირებისთვის, რომლებიც სწავლობენ/ისწავლეს და მიიღეს კრედიტები საზღვარგარეთ შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, ციკლთან, კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

სრული ზოგადი განათლების მქონე პირი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენის გამოცდების შედეგების საფუძველზე (გრანტის მისაღებად პრიორიტეტის მიხედვით ჩასაბარებელი საგნებია: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხო ენა 3. მათემატიკა/ისტორია/ხელოვნება. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელიც გაივლისა თსსა-ს შემოქმედებით კონკურსს. შემოქმედებითი ტურის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია კონკურსამდე არანაკლებ ორი თვით ადრე. შემოქმედებითი კონკურსის დებულება განთავსებულია თსსა-ს ვებ გვერდზე: https://drive.google.com/file/d/14s8V8Pe_kHNyr9r7JjhgApk6i0kfybwy/view

პროგრამაში ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში. კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც მიიღეს ზოგადი საშუალო განათლება ან მისი ეკვივალენტი უცხო ქვეყანაში; II. საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც მიიღეს ზოგადი საშუალო ან მისი

ეკვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში და სწავლობდნენ საზღვარგარეთ ზოგადი საშუალო განათლების ბოლო ორი წლის განმავლობაში; III. იმ პირებისთვის, რომლებიც სწავლობენ/ისწავლეს და მიიღეს კრედიტები საზღვარგარეთ შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგთან, ციკლთან, კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

სრული ზოგადი განათლების მქონე პირი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენის გამოცდების შედეგების საფუძველზე (გრანტის მისაღებად პრიორიტეტის მიხედვით ჩასაბარებელი საგნებია: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხო ენა 3. მათემატიკა/ისტორია/ხელოვნება. საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღებიან აბიტურიენტები, რომლებმაც გაიარეს შემოქმედებითი კონკურსი. შემოქმედებითი კონკურსის შესახებ ინფორმაცია აბიტურიენტებისთვის ხელმისაწვდომია არანაკლებ 1 თვით ადრე. შემოქმედებითი ტურის დასრულების შემდეგ განთავსებულია თსსა-ს ვებგვერდზე: - https://drive.google.com/file/d/14s8V8Pe_kHNyr9r7JjhgApk6i0kfybwy/view

პროგრამაში ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში. კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც მიიღეს ზოგადი საშუალო განათლება ან მისი ეკვივალენტი უცხო ქვეყანაში; II. საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც მიიღეს ზოგადი საშუალო ან მისი ეკვივალენტი განათლება უცხო ქვეყანაში და სწავლობდნენ საზღვარგარეთ ზოგადი საშუალო განათლების ბოლო ორი წლის განმავლობაში; III. უცხოელებისთვის, რომლებიც სწავლობენ/ისწავლეს და მიიღეს კრედიტები/კვალიფიკაცია საზღვარგარეთ შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგთან, ციკლთან, კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ან საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. გარდა ამისა, ეროვნული გამოცდების დაწყებამდე აბიტურიენტი გადის შემოქმედებით კონკურსს. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ყველა დაინტერესებულისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.art.edu.ge, ასევე, მოქმედებს ცხელი ხაზი.

თსსა/მოდის დიზაინის პორტალი აქტიურია.

<https://www.facebook.com/profile.php?id=100063508359138>

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებისთვის აუცილებელი მოთხოვნებია:

1. ძირითადი კონსტრუქციის ცოდნა (შემოქმედებითი პორტფოლიოს და/ ან სერთიფიკატებით დადასტურებული)
2. ზოგადი წარმოდგენა მოდის დიზაინის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ (ინტერვიუ) 3. შემოქმედებითი პორტფოლიო (მოდის ილუსტრაცია, თავისუფალი კომპოზიციის განვითარების ეტაპები, დანართი სურვილისამებრ.).

შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგთან, ციკლთან, კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელია სამხატვრო აკადემიაში უცხო ენისა და სპეცკომპოზიციის გამოცდების ჩაბარება. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებია: შემოქმედებითი პორტფოლიო (ჩანახატები თავისუფალ თემაზე ფერებში, გრაფიკაში და ა.შ.). ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრის ხარისხის მქონე კანდიდატები გამოცდებზე დაიშვებიან წინაპირობების გარეშე. სხვა ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები გამოცდებზე დაშვების წინაპირობად გადიან გამოცდას ხატვაში.

ამ პირებს ძირითად გამოცდებზე დასაშვებად მოეთხოვებათ ხატვაში დადებითი ქულის მიღება (50-ზე მეტი, 100-ქულიანი შეფასების პირობებში).

პროგრამაში ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდის www.art.edu.ge მეშვეობით. ცხელი ხაზი მოქმედებს. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგთან, ციკლთან, კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელია სამხატვრო აკადემიაში უცხო ენისა და სპეცკომპოზიციის გამოცდების ჩაბარება. ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები გამოცდებზე დაიშვებიან წინაპირობების გარეშე.

- სხვა ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები გამოცდებზე დაშვების წინაპირობად გადიან გამოცდას ხატვაში.

ამ პირებს ძირითად გამოცდებზე დასაშვებად მოეთხოვებათ ხატვაში დადებითი ქულის მიღება (50-ზე მეტი, 100-ქულიანი შეფასების პირობებში). ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდის www.art.edu.ge მეშვეობით. ცხელი ხაზი მოქმედებს. შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;

- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისია მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□

პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მონაცემებმა და აკადემიურ პერსონალთან, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლთან და სტუდენტებთან შეხვედრებზე დაკვირვებამ გამოავლინა დადებითი ფაქტი, რომ კლასტერის პროგრამების ორივე დონეზე პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების ეტაპი მიჰყვება თანდათანობითი ზრდის ტენდენციას. პრაქტიკულ-თეორიული/კვლევითი და ტრანსფერული უნარების ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფით. ყველა პროგრამისათვის აუცილებელია მუდმივად განავითაროს საკუთარ სფეროებში შემოქმედებითი, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ანალიტიკური უნარები, რომლებიც დაგეგმილია თითოეული პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. ამას მოწმობს დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების სია. მოდის დიზაინის პროგრამები ყველაზე აქტიურია სტუდენტებისთვის სპეციალურად მომზადებული საგანმანათლებლო-შემოქმედებითი პროგრამებისა და პროექტების ორგანიზებაში სხვადასხვა ორგანიზაციების მხარდაჭერით, ხელმოწერილი მემორანდუმებით, განთავსების ადგილებით, ვორქშოფებით, საერთაშორისო აქტივობებით. სამრეწველო დიზაინისათვის მაგალითია ხელშეკრულება საქართველოს სამრეწველო დიზაინერების ასოციაციასთან და საერთაშორისო პროექტი ტექსტილის დიზაინში, რომელიც ხორციელდება იუნესკოს დაფინანსებით.

მიუხედავად ამ ფაქტებისა, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაუმჯობესებელი. თითოეული პროგრამის წარმომადგენლებმა იციან ეს ფაქტი, მაგრამ ეს საკითხები ასევე დამოკიდებულია შემოქმედებითი ინდუსტრიის სექტორის ზოგად განვითარებაზე, კულტურის ფინანსურ მხარდაჭერაზე სახელმწიფოს დონეზე.

უნდა გაძლიერდეს ლიდერის პოზიციები ქვეყანაში და წახალისდეს სკოლა, რომ გახდეს შემოქმედებითი/სამეცნიერო ტექნოლოგიური ინოვაციების და კრეატიული იდეების ცენტრი, გააფორმოს პატენტები ქვეყანაში კრეატიული ინდუსტრიების სტარტ-აპების მხარდასაჭერად, ააშენოს საკუთარი შემოქმედებითი სივრცე უახლესი ტექნოლოგიებით და ა.შ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და სილაბუსები;
- თსსა-ს ვებგვერდი www.art.edu.ge;
- სტუდენტური პროექტები;
- მემორანდუმების დანართები;
- ადგილზე ვიზიტი,

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

გამლიერდეს კრეატიული ლიდერის პოზიცია სახელმწიფო ან კერძო სექტორის მხარდაჭერით უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი შემოქმედებითი ცენტრის ან ლაბორატორიის/ჰაბის/სივრცის შექმნის მეშვეობით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)

.....

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)	■	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა განსაზღვრავს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეძენის შესაძლებლობას და ზოგადი და სამრეწველო კომპეტენციების ჩამოყალიბებას. კერძოდ, სასწავლო კურსები ითვალისწინებს სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორცაა დემონსტრირების მეთოდი, ინდივიდუალური მუშაობა და პორტფოლიო, მოხსენებების მომზადება პრეზენტაციებისა და კონფერენციებისათვის.

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების ციკლს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო კურსები მოიცავს ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მუშაობას, რომლის მონიტორინგი ხდება ყოველკვირეულად კონკრეტული დავალებების, ჯგუფური და პრაქტიკული მუშაობის მეშვეობით.

გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს სწავლებას და პრაქტიკულ მომზადებას სხვადასხვა საწარმოში. სწავლების პერიოდში, უმაღლეს სასწავლებლებში „დიზაინი, სამრეწველო დიზაინი, მოდის დიზაინი, ტექსტილის დიზაინი“-ის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, გათვალისწინებული და შემუშავებულია შემდეგი მეთოდები:

ვერბალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, დისკუსია/დებატები, ევრისტიკული მეთოდები. მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისა და აკადემიური პერსონალის კონტროლის მიზნით, გააქტიურდა კლასებში ორმხრივი ვიზიტების პრაქტიკა. პროგრამის პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლება/სწავლის მეთოდებთან დაკავშირებულ ტრენინგებში, რომელსაც ატარებს როგორც უნივერსიტეტი, ისე ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტები. პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად სასწავლო პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ზოგიერთი ისეთი, რომელშიც სასურველია კვლევის ობიექტების შემუშავება არა მხოლოდ ესთეტიკური დიზაინის, არამედ პროგრამაში მითითებული მეთოდების მთელი ნაკრების გამოყენებით. კერძოდ, სტუდენტთა მუშაობის შედეგებში ხაზი უნდა გაესვას ევრისტიკული კვლევის მეთოდების, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემდა გაეფართოვებინა თავისი შემოქმედებითად პრაქტიკული სწავლა, და ინტეგრირებული მეთოდების მნიშვნელობა.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მოდის დიზაინის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- მოდის დიზაინის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- ტექსტილის დიზაინის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ტექსტილის დიზაინის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- სამრეწველო დიზაინის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- სამრეწველო დიზაინის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის, ტექსტილის დიზაინის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სტუდენტთა ნამუშევრები;
- სტუდენტების პორტფოლიო.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, რომ კლასტერის პროგრამების სტუდენტების შედეგები (ნამუშევრები) ასახავდეს დიზაინის მრავალფეროვან თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც ავითარებენ არა მხოლოდ შემოქმედებით აზროვნებას, არამედ პრობლემის გადაჭრის ძიების გზებსაც.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება- სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□
პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□
პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოდის, ტექსტილის და სამრეწველო დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება ეფუძნება შეფასების სისტემას, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესების შესახებ“ და გამომდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემიდან (ECTS).

შეფასების სისტემა ითვალისწინებს: ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება გამოცდის ჩასაბარებლად და ეძლევა უფლება გავიდეს (ერთხელ) დამატებით გამოცდაზე დამოუკიდებლად მომზადების შედეგად;
- (F) ჩაიჭრა - 40 და ნაკლები ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს კურსი/საგანი.

სტუდენტთა მოსწრების შეფასება არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი. სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზანია სტუდენტის მოსწრების დონისა და პროგრამის კომპონენტების მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან სტუდენტის შესაბამისობის დათვლა (დაზუსტებულია კლასტერის პროგრამებში). სტუდენტის სწავლის შედეგების დონის შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით. სტუდენტის სწავლის შედეგების დონის შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას (მაქსიმუმ 40 ქულა) და დასკვნით შეფასებას (მაქსიმუმ 60 ქულა), ამ შეფასებების ჯამი არის საბოლოო შეფასება (100 ქულა). მინიმალური გამსვლელი შეფასებაა 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური 100 ქულა. მას შემდეგ რაც სტუდენტი მიიღებს დადებით შეფასებას სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტს ენიჭება კრედიტი. მოწოდებულ პროგრამებში ყველა სასწავლო კურსს აქვს შეფასების კომპონენტები და სწავლის მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებს საგნის უნიკალურ ბუნებას, შეესაბამება მის სწავლის შედეგებს და გვთავაზობს შეფასებას, თუ რამდენად კარგად არის მიღწეული კურსის მიზნები. სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ადგენს შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც სრულად არის დოკუმენტირებული სასწავლო კურსის სილაბუსში და უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალობასა და სანდოობას.

თსსა-ში სასწავლო პროცესების რეგლამენტის მიხედვით, სტუდენტები, რომლებიც გამოტოვებენ კონკრეტული საგნის საკონტაქტო საათების 50% ან მეტი, არ დაიშვებიან დასკვნით გამოცდაზე. სტუდენტი არ დაიშვება დამატებით გამოცდაზე, თუ დასკვნით გამოცდაზე მიიღებს 41 ქულაზე ნაკლებს. სასწავლო

საგნის სილაბუსი მოიცავს შეფასების თაობაზე მითითებებს და სტანდარტებს თითოეული კომპონენტისათვის, რომელიც შეესაბამება სწავლის შედეგებს. თითოეული სილაბუსი შეიცავს დეტალურ ინფორმაციას შეფასების ფორმებისა და კომპონენტების შესახებ. თითოეული კურსის შუალედური და დასკვნითი გამოცდების სტრუქტურა და შეფასების სტანდარტები ასევე სრულად არის მოცული კლასტერის ყველა პროგრამის სილაბუსებში. გარდა ამისა, საბაკალავრო და სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების სტანდარტები მოცემულია პროგრამაში და ცალკე დოკუმენტში მოდის დიზაინის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის. სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია კომპონენტებისა და ქულების დაწერის სისტემის შესახებ. სტუდენტის ცოდნის შეფასების კონკრეტული სტანდარტები დეტალურად არის ჩამოყალიბებული თითოეული საგნის სილაბუსში. კურსის დაწყებამდე პედაგოგები სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას სილაბუსთან, შეფასების კრიტერიუმებთან და სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით (ელექტრონული ჟურნალი) სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტებს თავიდანვე ეძლევათ საშუალება გაეცნონ პროგრამის სილაბუსებს, ინფორმაციას განრიგის, სასწავლო კურსის ლექტორისა და შეფასების სისტემის ძირითადი კომპონენტების შესახებ. კურსის განმავლობაში სტუდენტებს შეუძლიათ სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემაში მიმდინარე შეფასებების მონიტორინგი და მიღებულ შედეგებზე დროული გამოხმაურება. სასწავლო კურსის ლექტორი შეფასების თითოეულ კომპონენტში მიღებულ შედეგს აფიქსირებს ელექტრონულ ჟურნალში. სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას სწავლის შედეგებზე, ასევე აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე. აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით, რეგულარულად ანალიზებს სტუდენტების შეფასების შედეგებს, ადგენს ხარვეზებს და ახდენს სათანადო რეაგირებას. გარდა ამისა, სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას ასევე სასწავლო კურსის ლექტორებისგან მათი სწავლის შედეგების, ძლიერი მხარეების და გასაუმჯობესებელი სფეროების შესახებ.

სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჩივრება უზრუნველყოფილია. ინფორმაცია გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშირებით წინასწარ არის ცნობილი. თუ სტუდენტს სჭირდება შუალედური ან დასკვნითი გამოცდების საბოლოო შედეგების გასაჩივრება, სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს ფაკულტეტის საბჭოს წინაშე. ფაკულტეტის საბჭო, სხვა შემთხვევების ჩართულობით, აფასებს, მართლაც სათანადოდ მოხდა თუ არა შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შეფასება. თუ საბჭო გადაწყვეტს პირველი შეფასების უგულვებელყოფას, მას ცვლილებები შეაქვს სტუდენტის საბოლოო ქულაში. მიუხედავად იმისა, რომ თსსა-ს აქვს გასაჩივრების მექანიზმი, **ჩვენ ვურჩევთ, რომ საჩივრებზე დროული გადაწყვეტილებების მისაღებად, უკეთესი იქნებოდა საჩივრის განხილვის უფლებამოსილების გადაცემა სხვა აკადემიური ან ადმინისტრაციული ერთეულსათვის ან, მაგალითად, შეიქმნილიყო მცირე საბჭო, რომელიც განიხილავდა სტუდენტთა საჩივრებს.** ფაკულტეტის საბჭოს სხდომის შეკრებას დიდი დრო სჭირდება და შესაბამისი კვორუმი დაწესებული გადაწყვეტილების მისაღებად. ამიტომ გასაჩივრების პროცესი ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა დროულად არ წარიმართოს.

სტუდენტთა შეფასებაში გამოიყენება აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმები. თსსა-ს გააჩნია პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა „StrikePlagiarism“, რომელიც ასახავს სხვა წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას. გარდა ამისა, თსსა-ს ჰყავს მეორე კონტრაქტორი Plagiat.pl Sp z o.o, რომელიც უზრუნველყოფს პლაგიატის გამოვლენის სისტემას. სისტემები საშუალებას აძლევს თსსა-ს შეაფასოს/აჩვენოს ტექსტები და მიუთითოს მათი მდებარეობა ქსელში. პლაგიატის საწინააღმდეგო სისტემა აღმოაჩენს გასაანალიზებელ

დოკუმენტში იდენტურ პასაჟებს, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა მონაცემთა ბაზასა და ინტერნეტ რესურსებში. უნივერსიტეტის სტუდენტები იცნობენ აკადემიურ და კვლევით ეთიკას (რადგან თსსა-ს აქვს განცალკევებული ეთიკის კოდექსები), პლაგიატის სპეციფიკას და მისი გამოვლენის მექანიზმებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შევძელით დოკუმენტირებული ინფორმაციის ადგილზე გადამოწმება, ჩვენ გვაქვს გარკვეული ეჭვები ვიზუალური ხელოვნების პლაგიატის გამოვლენასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, „StrikePlagiarism“ არ იძლევა ვიზუალური ხელოვნების ნაწარმოებების პლაგიატის გამოვლენის შესაძლებლობას. ვიზუალური ხელოვნების ნაწარმოებების პლაგიატის გამოვლენა გამოწვევად რჩება არა მხოლოდ თსსა-სთვის და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. არსებული სისტემები არ არის სანდო და ხელოვნური ინტელექტის დანერგვამ სხვადასხვა ინდუსტრიაში გამოიწვია შემოთქმა ხელოვნური ინტელექტის პლაგიატის შემთხვევებთან დაკავშირებითაც. ვიზუალური ხელოვნების ნაწარმოების პლაგიატის გამოვლენის ერთადერთი ვარიანტია, თუ სასწავლო კურსის ლექტორი აღმოაჩენს სხვა არსებული ნამუშევრების მსგავსს ნამუშევარს მათი ერთმანეთის შედარების გზით. **ჩვენ ვურჩევთ, რომ თსსა-მ დაიწყოს ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრების და ხელოვნური ინტელექტის პლაგიატის გამოვლენის სისტემების ძიება, რათა უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა და საავტორო უფლებების პატივისცემა.** პროცესი არ იქნება იოლი საქმე, თუმცა, ახლა მასზე გადაწყვეტილების მიღება არის პირველი ნაბიჯი ზემოაღნიშნული ღირებულებების მისაღწევად.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კიდეც ერთი ასპექტი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, იყო ის, რომ ნაშრომის შეფასების სისტემა და პროცედურები ნახსენები იყო მხოლოდ სამრეწველო და ტექსტილის სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტებში. მხოლოდ მოდის დიზაინის სამაგისტრო პროგრამას ამასთან ერთად ჰქონდა ცალკე შედგენილი დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები სამრეწველო და ტექსტილის დიზაინის სამაგისტრო პროგრამების კომისიისაგან, ჩვენ მოგვაწოდეს მხოლოდ ამონარიდები სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტიდან, რომელიც დაკოპირებულია ცალკე Microsoft Office Word დოკუმენტში. სამაგისტრო ან საბაკალავრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის ცალკეული რეგულაციების არსებობის აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტს ჰქონდეს მკაფიო, გამჭვირვალე, სანდო და ღია ინფორმაცია დისერტაციის მომზადების თითოეული ეტაპისა და მისი შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ასეთი დოკუმენტი წარმოადგენს მექანიზმს, რომ სტუდენტმა უზრუნველყოს დისერტაციის დაცვის არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა. გარდა ამისა, სტუდენტს შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს კომისიის მოლოდინები და თავიდანვე ასახოს ისინი ნაშრომში ან დროულად შეიტანოს მასში შესწორებები. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამაგისტრო პროგრამის წესდებას აქვს რამდენიმე დებულება, რომელიც არეგულირებს დისერტაციის დაცვას, მაგრამ ის იძლევა არასაკმარის ინფორმაციას. ამიტომ, **ჩვენი რეკომენდაციაა, რომ თსსა-მ შეიმუშაოს სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესები სამრეწველო და ტექსტილის დიზაინის პროგრამებისათვის.** გარდა ამისა, ჩვენი რეკომენდაციაა იმავე დოკუმენტში შეიტანოთ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და აკადემიური სტილის სტანდარტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები (სტუდენტები/კურსდამთავრებულები);
- ინტერვიუს შედეგები (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, თსსა-ს ადმინისტრაცია);

- დოკუმენტი - სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შეფასების მექანიზმები და შედეგების ანალიზი (დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს მიერ, 17.03.2022წ. სხდომის ოქმი N 43);
- დოკუმენტი - სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი (დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს მიერ, 17.03.2022წ. სხდომის ოქმი N 43);
- დოკუმენტი - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა კითხვარი (დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 24 ივნისს, სხდომის ოქმი N 006);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- StrikePlagiarism ხელშეკრულების ფორმა;
- Plagiat.pl Sp z o.o. ხელშეკრულების ფორმა;
- დოკუმენტი - ეთიკის კოდექსი;
- დოკუმენტი - მოდის დიზაინის (საბაკალავრო) პროგრამა;
- დოკუმენტი - მოდის დიზაინის (სამაგისტრო) პროგრამა;
- დოკუმენტი - სამრეწველო დიზაინის (საბაკალავრო) პროგრამა;
- დოკუმენტი - სამრეწველო დიზაინის (სამაგისტრო) პროგრამა;
- დოკუმენტი - ტექსტილის დიზაინის (საბაკალავრო) პროგრამა;
- დოკუმენტი - ტექსტილის დიზაინის (სამაგისტრო) პროგრამა;
- დოკუმენტი - სამაგისტრო პროგრამის წესდება;
- დოკუმენტი - საბაკალავრო პროგრამის წესდება;
- სტუდენტთა შეფასების ელექტრონული პორტალი – ელექტრონული ჟურნალი;
- თსსა-ს ვებგვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია თსსა-მ დაიწყო ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრების და ხელოვნური ინტელექტის პლაგიატის აღმოჩენის სისტემების მიება, რათა უზრუნველყო აკადემიური კეთილსინდისიერება და საავტორო უფლებების დაცვა ყველა პროგრამაზე.
- სასურველია სტუდენტთა საჩივრებზე (აპელაციაზე) მოხდეს დროული რეაგირება, უმჯობესი იქნება ფაკულტეტის საბჭოსგან საჩივრის განხილვის უფლება გადაეცეს სხვა აკადემიურ ან ადმინისტრაციულ ერთეულს ან, მაგალითად, შეიქმნას მცირე საბჭო, რომელიც განიხილავს სტუდენტთა აპელაციებს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (მოლის დიზაინი, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და აკადემიური სტილის სტანდარტები.

რჩევები:

პროგრამა 4 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და აკადემიური სტილის სტანდარტები.

რჩევები:

პროგრამა 5 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და აკადემიური სტილის სტანდარტები.

პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია თსსა-მ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები ინტეგრირებული სტუდენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმებითა და აკადემიური სტილის სტანდარტებით.

რჩევები:

.....

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 2 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□
პროგრამა 3 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)	□	■	□	□
პროგრამა 4 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)	□	■	□	□
პროგრამა 5 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)	□	■	□	□
პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)	□	■	□	□

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (მოდის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 2 (ტექსტილის დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 3 (სამრეწველო დიზაინი, ბაკალავრიატი)	■	□	□	□
პროგრამა 4 (მოდის დიზაინი, მაგისტრატურა)	■	□	□	□

პროგრამა 5 (ტექსტილის დიზაინი, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სამრეწველო დიზაინი, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტები და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სათანადო ხარისხის სამეცნიერო წინამძღოლობა და ხელმძღვანელობა.

3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წინასწარ და შემდეგში წარმოდგენილი დოკუმენტების, უსდ-ს სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან და შესაბამის სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგების გათვალისწინებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო შეფასებინა წარმოდგენილი პროგრამები და განეხილა მათი შესაბამისობა მე-3 სტანდარტთან. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია სტუდენტებს განიხილავს მთავარ პრიორიტეტად და შესაბამისად ქმნის მათზე სრულად მორგებულ გარემოს. ექსპერტთა ჯგუფს სურს დაიწყოს პირველი შეფასება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტების სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების საკონსულტაციო და დამხმარე სერვისებიდან. ექსპერტთა ჯგუფმა შეძლო დაედგინა, რომ კონსულტაციისა და მხარდაჭერის წყარო თავად ფაკულტეტის ადმინისტრაციაა. ძირითადად მხარდაჭერა მოდის ფაკულტეტის დეკანატიდან, დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით. უფრო მეტიც, საკონსულტაციო აქტივობებში აქტიურად არის ჩართული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სასწავლო წლის აქტიურ ფაზამდე გაიარონ ფაკულტეტის წევრებთან კონსულტაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. კონსულტაციის დროს ისინი იღებენ ინფორმაციას კურსების, ლექტორების, განრიგის, ფინანსური და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რათა დაუბრკოლებლად დაიწყონ სასწავლო წელი. კონსულტაციები მართლაც დროული და პროფესიონალურია, რადგან არცერთ სტუდენტს არ გამოუთქვამს საყვედური გაწეულ მომსახურებაზე. სტუდენტებს შეუძლიათ კონსულტაციის მიღება კონსულტაციებში და დამხმარე სერვისებში ჩართულ პირებისაგან სამუშაო საათებში (დილის 10:00 საათიდან საღამოს 17:00 საათამდე), თუმცა უნივერსიტეტი ღიაა გაუწიოს კონსულტირება ნებისმიერ სტუდენტს, რომელსაც ეს ესაჭიროება, არასამუშაო საათებშიც (ელ. ფოსტის, ოფიციალური სოციალური მედიის, სატელეფონო კომუნიკაციისა და სხვა საშუალებებით). **აღსანიშნავია, რომ უსდ-ს არ აქვს ოფიციალური ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის**

კონსულტაციების განრიგის შესახებ, რადგან ისინი ამას მხოლოდ ფორმალზად მიიჩნევენ. თუმცა, უნივერსიტეტი აცნობებს ყველა სტუდენტს, რომ პედაგოგიური პერსონალი სამუშაო საათებში ყოველთვის ღიაა ნებისმიერი საჭირო კონსულტაციისათვის. პრაქტიკა ასევე აჩვენებს, რომ პერსონალი უწევს სტუდენტებს კონსულტაციას არასამუშაო საათებშიც და მოუწოდებს მათ, უყოყმანოდ ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ მათ (განსაკუთრებით მაშინ, როცა სტუდენტებს გადაუდებელი პრობლემები აქვთ). აკადემიური და მოწვეული პერსონალის წევრები რეგულარულად განიხილავენ თავიანთი სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და წარმართავენ მათ შემდგომ გაუმჯობესებას. ამ კუთხით, სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ კონსულტაცია პედაგოგებთან და მიიღონ დეტალური ინფორმაცია საკუთარი აკადემიური მოსწრების შესახებ. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს სტუდენტების სწავლის შედეგების შესაფასებლად და ანალიზის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, იძლევა გამომხატურებას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს სტუდენტის მოსწრება.

